

ო რ ი

№ 10

კვირა, 11 აპრილი

საპროლიტიკო, სტერეოგრაფიკური და სალიტერატურო ჟურნალი

1910 წ.

ქართული თეატრი.

—

კველაზე უარესია, როცა რამე საზოგადო საქმეს პატრიონობას დაუწყებს არა გულ-შემატკივარი, არა ამ საქმის მოსიყვარულე. როცა თავად-აზნაურობის სათეატრო შენობა გადაკეთებას საჭიროებდა, მაშინ ცხადად გამოირკვა, რომ ეს შენობა ხელახლა კეთდებოდა ქართულ თეატრის საჭიროებისათვის. ამ შეგნებამ იმდენად გაიტაცა ზოგიერთი, რომ ერთმა კიდეც გადაკეთების მოწინააღმდეგოთ, მოლალატეც ეწოდა. ნებსით თუ უნებლივ დიდი ხარჯი გასწია თავად-აზნაურობამ. ქართველი საზოგადოებაც სიხარულით მიეგება თეატრის შენობის განახლებას, — დარწმუნებული, რომ ამიერიდან საშობლო სცენას მკვიდრი კერა გაუჩნდებოდა და სხვის „დანაწონად“ აღარ გახდებოდა.

მაგრამ მწარედ შეცდა ქართველი საზოგადოება, და ასეც უნდა ყოფილიყო. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენი თეატრის საქმე ქართველების ხელში იყო და ერთი რამ კი სრულიად დაგვავიწყდა ამ საერთო დაცემის და გათახსირების დროს, როცა ბევრი ჩვენი თანამემულე მხოლოდ შთამომავლობით თუ შეიძლება ქართველი ჩაითვალოს, თვარა შეგნებით ის ჩვენგან ძალიან შორს სდგას. ან კი რა მამული შვილობას უნდა ველოდეთ ისეთ ადამიანებისაგან, რომელთაც არ იციან არც ჩვენი წარსული და არც აწყო, რომელნიც ქართველ მწერლებს უკეთეს შემთხვევაში რუსულ თარგმანებიდან იცნობენ, რომელთა შვილებმა ყოველ ენაზე იციან ლაპარაკი, გარდა ქართულისა, რომელთაც საზოგადო კრებებზე უბრალო ქართულიც არ ეხერხებათ და საეჭვო ღირსების რუსულ გაზეთს სუბსიტიას აძლევენ, რადგან მხოლოდ ის შეიძლება იყოს მათი გაზეთი.

დრამატიულ საზოგადოების უკანასკნელ კრებაზე თავად-აზნაურობის წინამდლოლმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა, სადაც გვეუბნებოდა, თქვენ საქმისთვის

305166 შ 0 6 1 1 6 6 0: ქართველი ბიბლიოთისა

ქართული თეატრი; უბედური შეცდომა — ალარო დიელისა; დამნაშებელი, დაქმისა — ი. გრიშაშვილისა; მასწავლებელი მწარედ ქვითინებდა — მოუსვენარიდისა; კუდიანი გარსებლავები — ივ. მემარიაშვილისა; გაზაფხული, დაქმისა — ს. ფაშალიშვილისა; ჩეხია — გ. გვაზაგასი; გაზაფხული, დაქმისა — ი. მჭედლაშვილისა; ნუცად ხანი — ივ. ბუქურაულისა.

გულმოდგინე პირები აირჩიეთ და ჩვენც ყოველივე დახმარებას გაგიწევთო. კრებაც ეცადა ისეთი პირები აერჩია, რომელნიც ჩვენი საზოგადოებისთვის სასურველი იქნებოდენ და თავად-აზნაურთა საკრებულოსაც არ შეაშინებდენ. გულდამშვიდებული, რომ ქართულ თეატრს ბინა ექნება, მოველლიდით ახალ გამგებისაგან თეატრის შენობის აღებას. მაგრამ, როგორც გამოირკვა, დეპუტატთა საკრებულო შენობას არ უთმობს ქართულ თეატრს და ამით ისედაც შეფერხებულ სასცენო საქმეს უარეს მდგომარეობაში იყენებს.

ქართული სცენის უმთავრესი უბედურება ისაა, რომ ჩვენი არტისტები უფრო სცენის მოყვარულთ მოგვაგონებენ. იქ მხოლოდ ორიოდე კაცია, რომელთაც სცენისთვის თავი დაუდინათ, დანარჩენები კი სცენას შემთხვევით აფარებენ თავს. ამიტომაც არ სხიანს არც საქმარისი მომზადება, არც საქმის სიყვარული, არც განვითარება და ხელოვნებისათვის თავდადება. ამიტომაც ქართული წარმოდგენა ხშირად არ გაკმაყოფილებს, რეცენზიას ისე ვერ წაიკითხავ, რომ არ იყოს აღნიშნული — არტისტებმა როლები არ იცოდენო. ხოლო ასეთ მდგომარეობას რომ თავი დავაღწიოთ, ყოვლის უწინარეს საჭიროა ქონებრივი პირობები. სცენაზე მოთამაშე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ცხოვრებისათვის საჭირო მინიმუმი უზრუნველ ყოფილ ექნება, და მაშინ კიდეც მოსთხოვეთ, მაშინ ამუშავეთ. და რომ სცენა მატერიალურად ფეხზე დადგეს, აუცილებლად საჭიროა კვირაში იმართებოდეს არა ნაკლებ სამი წარმოდგენისა, რა საკვირველია, გაცილებიც უფრო იაფ ფასებში, ვიდრე დღეს. წარმოდგენების გაიაფება ქართულ თეატრისაკენ მიიზიდავს უფრო შეგნებულს და ხელ-მოკლე ხალხს. მაშინ უნებლიერ ჩვენი სცენის დანარჩენი ნაკლიც გასწორდება და ქართული თეატრიც წელში გაიმართება.

მაგრამ რომ საქმე ასე მკვიდრ ნიაღაზე დადგეს, ამისთვის აუცილებლივ უნდა გქონდესთ თქვენი

თეატრი. ვისაც ოეატრისათვის შენობა რა აქვს, იმას თეატრის ფეხზე დაყენებაც არ შეუძლია. ეს საანბანო ჭრიარიტება სომხებმაც კარგად შეიგნეს და შეუდგნენ საკუთარ შენობის აგებას, თუმცა არტისტიულ თეატრის შენობა მათთვის ყოველთვის ღია იყო. ამასვე ვგრძნობთ დღეს ჩვენც. როგორც გავიგეთ, დეპუტატთა საკრებულო პირებს ქართულ სკრინას კვირაში ერთი დღე დაუთმოს. ცხადია, ამ ერთი დღით არაფერი გამოვა, არც დასი გვეყოლება, არც სასკრინო ხელოვნება განვითარდება, ვერც თეატრი შესძლებს შეასრულოს ის დიალი საქმე, რომელიც მას აწევს ჩვენ ტანჯულს სამშობლოს წინაშე. და რადგან ასე უკუღმა მიღის ჩვენი საქმე, სადაც დახმარებას ველოცით, იმ მოწყვალებას გვაწვდიან, უმჯობესია საქმისთვის, ჩვენი მომავლისთვის, სამოწყალოდ ხელი არვის გაუწოდოთ და სრული ად გამოვეგმვიდობოთ იმ შენობას, რომელსაც რაღაცა ირონიით ქართული თეატრი დაარქვეს. და, ქართველმა ხალხმა იცოდეს, რომ მას თეატრისათვის ბინა არა აქვს, ათას გაჭირვებას ესეც მიემატოს. ვინ იცის, იქნება შევძლოთ ამ გაჭირვებასაც თავი დავალწიოთ და ახლო მომავალში დეპუტატთა საკრებულოს სამოწყალოდ არ გავხდეთ.



ဗုဒ္ဓဘာသု ပြဂါနမ်

(დასასრული*)

— : —

მანიფესტის § 49-ში ა რა არგუმენტი მოჰქ-
ყავთ იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ პროლეტარი-
სამშობლო არა აქვს, ან მომავალში მაინც დაე-
კარგება, რომ პროლეტარი ბურჯუაზიის მსგავსად
აღარ არის შეკავშირებული ეროვნებასთანაო. „უკვე
თვით ბურჯუაზიის განვითარება, თავისუფალი გაცვლა-
გამოცვლა, ბაზრის მსოფლიოდ გარდაჭმნა, გაერთ-
ფეროვანება მრეწველობითის წარმოებისა და ამისგან
გამოწვეულ არსებობის პირობათა, — ყოველივე ესე
სპობს ერთა შორის განსხვავებას და მათ შორის
ბრძოლასა. — პროლეტარიატის ბატონობა ამ გან-
სხვავებას სრულიად მოსპობს, და შეერთებული
მოქმედება პროლეტარიატისა, განათლებულ ქვეყნები
სა მაინც, არის უპირველესი პირობა მისი განთავი-
სულებისა. — რამდენადაც მოისპობა კაცისაგან კაცის
ექსპლოატაცია, იმდენად მოისპობა აგრედავე ექსპლო-
ატაცია ერისაგან. — ერთა ურთი-ერთის მტრის

ბა მოისპობა თვით ერში კლასსთა ბრძოლის მოსპობისა-
თანავე“.

მართლაც, ეს ორიოდე ფრაზა თავიღდა ბოლოდ-
დის შეცდომა და მასზედ დამყარება მოელი ქვეყ-
ნის, ან ქვეყანათა ბედ-ილბალისა უბედურება იქმნე-
ბოდა, რომ შესაძლებელი იყოს. — შეცდომა და
წინაღმდეგობით აღსავსე ეს ამონაწერი, და აი რა-
ტომ.

პირველი ფრაზა, — თავისუფალი გაცვლა-გამოცვლა, მსოფლიო ბაზარი, მრეწველობის განვითარება და გაერთიანეროვანება, შექმნა არსებობის ერთსა და იმავე პირობათა და სხვ. ერთა შორის განსხვავებას და ბრძოლასა სპობსო, — არ არის ჭეშმარიტება არც ერთის მხრით. იგი პირდაპირი წინაღმდეგი ფაქტებისა, მთელი თანამედროვე ცხოვრების ვითარებისა. — გაცვლა-გამოცვლა ნიშნავს ორ ან მეტ დამოუკიდებელ ერის, ან სახელმწიროს შორის ეკონომიურ ურთიერთობასა, მაშასადამე პირდაპირ იგულისხმებს გამცვლელთა და გამომცვლელთა. რაც მეტია და ძლიერი ეკონომიური ინდივიდუალობა გამცვლელთა და გამომცვლელთ, იმდენად რთულია და ფართოდ დაყენებული ეს გაცვლა-გამოცვლა; წინააღმდეგ, გაცვლა-გამოცვლის სირთულე და გაფართოვება გვაჩვენებს ერთა ანუ სახელმწიფოთა ეკონომიურ სიძლიერეს, ინდივიდუალობის განვითარებას. მაშასადამე გაცვლა-გამოცვლა და მისი განვითარება ვერა სპობს ერთა შორის განსხვავებასა, რადგანაც განმამტკიცებულია მათი ეკონომიური ინდივიდუალობისა. რომელიც თვითოეული ერის საკუთარ სოციალურ მოწესრიგების სფეროში სცხოვრობს და ვითარდება. — მსოფლიო ბაზარი არ არის ერთი საკუპობრიო დაწესებულება, შემაერთობელი ცველა ერისა და სახელმწიფოსი, არამედ ფართო მოედანი ერთა და სახელმწიფოთა კონკურენციისა. კარლ ბიუხერი მართალს ამბობს, — ეგრეთ წოდებულ მსოფლიო მეურნეობას არავითარი ისეთი თვისება არ გამოუჩენია, რომ იგი ეროვნულ მეურნეობისაგან განირჩეოდეს, და არც ეგრეთ წოდებული მსოფლიო ბაზარი მოასწავებს მეურნეობის მსოფლიო ვითარებას. მსოფლიო ბაზარზე ერნი და სახელმწიფონი იბრძუნიან, იმარჯვებენ ურთიერთზედ, ხან ამ

*) сб. „గ్రం № 9.

ბაზარზედ ბატონიბისათვის ომსაც კი უცხადებდენ ურთი-ერთსა, და რამდენადაც ვითარდება კაპიტალიზმი ერთა შორის, იმდენად ეს ბრძოლა, ეს კონკურენცია მწვავეა, იმდენად ერთა შორის ბრძოლა ძლიერია და შეუბრალებელი. ბრძოლა, კონკურენცია, ომი კი აგრეთვე ორ ან მეტ ინდივიდუალობათა შორის შეიძლება და სეც ხდება ნამდვილად. რაც უფრო ძლიერია ბურჟუაზია ერისა. მისი კაპიტალიზმი, — მით უფრო ძლიერი ეკონომიკური ინდივიდუალობაა ერი, უფრო მედგრად მებრძოლი სხვათა წინააღმდეგ. აგრეთვე კონკურენციის ძალით ოვითოეულს სურს მეტი ინდივიდუალური სიძლიერე მოიპოვოს სხვის დასამარცხებლად. მაშასადამე ვერც ბურჟუაზიის განვითარება, ვერც მსოფლიო ბაზარი და მსოფლიო კაპიტალიზმი სპობს ერთა შორის განსხვავებას, არამედ უფრო აძლიერებს მათ ეკონომიკურ ინდივიდუალობასა. — გაერთფეროვანება მრეწველობისა და მისგან გამოწვეული მსგავსება არსებობის პირობათა აგრეთვე სრულიად ვერა სპობს ვერც ერთა შორის ანტაგონიზმსა და ვერც მათ შორის განსხვავებასა. გაერთფეროვანება მრეწველობისა — წამბაძველობაა, ე. ი. გადმოღება ყველა ერთა მიერ მრეწველობის იმ წესთა, რომელიც უმაღლესია, გაუმჯობესებული და მსოფლიო ბაზარზედ მეტოქეობის აუცილებელი პირობა. მაგრამ ამით ისევ ვერ ისპობა განსხვავება და ანტაგონიზმი, როგორც წიგნის ბეჭდვის გავრცელებით ენები არ მოსპობილა და ზარბაზნების გავრცელებით ომები არ შეწყვეტილა და არ შერიგებულან საელმწიფონი. პირიქით, — წიგნის ბეჭდვამ თვითოეულ ენას მისცა საშუალება განვითარებია მთელი მისი ინდივიდუალური სიძლიერე, აგრეთვე ზარბაზნებმა ნამდვილ ჯოჯონეთად, უფრო განმანადგურებლად აქცია მისი. აგრეთვე ცხოვრების პირობათა ერთფეროვანება სრულიად ვერა სპობს ვერც ერთი ერის სოციალურ ინდივიდუალობასა, — პირიქით, იგი წყაროა ურთი-ერთისაგან შეძენისა და საკუთარ სიმდიდრის განდიდებისა, — იგი წყაროა აგრეთვე ახალ იდეითა, რომელთაც საუმჯობესოდ უნდა შესცვალონ შინაგანი ცხოვრება ერთა, მაშასადამე მოსპობის მაგიერ კიდევ უფრო უნდა გააძლიერონ მათი სოციალური პიროვნება. საერთოდ წამბაძველობა ვერა სპობს ინდივიდუალობასა და შეიძლება ამ ორი პროცესის ზრდა პარალელურად ხდებოდეს, რასაც ნათლად ვხედავთ ნამდვილად, თუ დავუკვირდებით ერთა განვითარებას განსაკუთრებით მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. როდესაც წამბაძველობა ინდივიდუალობასა სპობს, — ეს გადაგვარებაა ხალხისა, მაშასადამე სხვისი კულტურის შეთვისების უნიჭობა, და განა ასეთი რამ ემჩევა ეკონომისა და აზის ხალხებს? განა იაპონიამ ევროპის კაპიტალიზმისა და კულტურის შეძენით იაპონელობა და კარგა? თუ ინდივიდუალურად გაძლიერ-

და და ხმალსაც. მისწვდა ერთი ეკროპის სახელ-მწიფოს დასამარცხებლად!..

კურივები

ეს კიდევ არაფერი: კაპიტალიზმის განვითარებას ბის პროცესი მთელს ქვეყანაზედ არ არის პროცესი მისი გაერთიანებისა, არ არის აგრეთვე დაუსრულებელი პროცესი ერთი ერთი მიერ მეორეს ეკონომიკურად დამონებისა, არამედ იგი არის პროცესი ერთა მიერ ეკონომიკურ დამოუკიდებლობის მოპოვებისა. საზღვარი დაედვა ერთა შორის შრომის განაწილებასაც. ეხლა შრომის ინტეგრაციის პროცესი ახასიათებს ერთა ეკონომიკურ ცხოვრებასა: უკვე ყოველი ერი სცდილობს საკუთარი წარმოს ებით დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილება, როგორც მრეწველობაში, ისე მიწის მეურნეობაში. შინაური ბაზარი თან და თან უფრო დიდ როლს თამაშობს ხალხთა მეურნეობაში, უცხოეთიდან შემოტანილ საქონლის რაოდენობა რელატივურად მცირდება, და ამით რასაკვირველია გარეშე ბაზრის როლის მცირდება. — როგორც ამბობს კროპოტკინი ინტეგრაცია შრომისა შრომის განაწილების მაგიერ, დეცენტრალიზაცია მრეწველობისა, — აი არი მოვლენა, რომელიც მოასწავებს ერთა ცონიმიურ ინდივიდუალობის განვითარებას, და არა მათ შორის განსხვავებათა მოსპობას.

და განა მარტო ეკონომიკურ მოქმედებაში ეტყობათ ერებს ასეთი ზრდა ინდივიდუალობისა? — ყოველ კულტურულ დარგში: ლიტერატურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში, — ყოველისუფერში სცდილობს თვითოეული ერი ორიგინალური რამ შექმნას, თუმცა ამავე დროს სხვისი შემოქმედებითაც სარგებლობს, ითვისებს სხვისი შემოქმედების ნაყოფსა. და ეს ორი პროცესი შემოქმედებისა და წამბაძველობისა ურთი-ერთის წინააღმდეგობა კი არა, ურთი-ერთის დამატებაა, აგრეთვე წყარო ურთი-ერთისა.

მართალია, პროლეტარიატის შეერთებულ ძალას შეუძლია მოსპობს ანტაგონიზმი ერთა შორის, მაგრამ ანტოგონიზმისა და განსხვავების, ინდივიდუალობის მოსპობა ერთი და იგივე არ არის. როდესაც მარქსი და ენგელსი ამ შეცდომას სჩადიან, — მათ ეს არ ეპარებათ. მართალია, შეიძლება ერთა წინააღმდეგობა მოისპოს კლასსთა წინააღმდეგობის მოსპობისათანვე, მაგრამ ამით ერი არ ისპობა. და როდესაც მარქსი და ენგელსი ამ შეცდომას სჩადიან, — აქვთ დაუფიქრებელი მსჯდელობა გამოუდისთ. — მართლაც, თვით სიტყვა — მოსპობა ერთა შორის. მტრობისა და დამკვიდრება სოლიდარობისა გულისხმობს წინ-და-წინვე ერის არსებობის განგრძნობასა, რადგანაც მტრობის მსგავსად სოლიდარობაც შესაძლებელია ორ ან მეტ ინდივიდის შორის. ხოლო სოლიდარობა გულისხმობს ურთი-ერთის უფლებასა, ურთი-ერთისადმი ვალდებულებათა აღსარებასა, ურთი-ერთის დამო-

კიუდებლობისა და თავისუფლების პატივის-ცემასა, და ამ ნიადაგზედ განამტკიცებს ძმურს კავშირს საერთო მიზანთა მისაღწვად. მაშასადამე იგი აუ-ცილებლად გულისხმობს სოციალიზმის დროსაც ურთიერთის ეროვნებისა და სამშობლოს აღსარებასა და პატივის-ცემასა.

სოციალიზმის დროს ერი არ ისპობა, არამედ ისპობა საერთაშორისო მტრობა და ნაცვლად მყარდება საერთაშორისო მმობა. და როდესაც მარქსი ამ მტრობის მოსპობასა და მსგავსებათა მოსპობას ერთმანეთში არღვევს, თანაც ერთა სოლიდარობაზედ ლაპარაკობს, — თვითვე ებმება თავისდა შეუმჩნევლად ისეთ წინააღმდეგობაში, რომელიც ეხლა თვალსაჩინოა, მაშინდელ დროს კი იქნება გატაცებულთ ვერ დაენახათ.

უკველივე ამას რომ თავი დავანებოთ, ისიცა ესთქვათ, — ვინ იცის, თვით სოციალიზმის დროსაც მოისპობა მტრობა და მეტოქეობა ერთა შორის? — არც ამისი თქმა შეიძლება ეხლა დანამდვილებით. ბევრი რამ გვაფიქრებინებს, რომ მომავალშიც მოსალოდნელია ერთა მეტოქეობა. მაგრამ აქ ამაზედ არ ვილაპარაკებთ.

აი რა უბედური შეცდომის მსხვერპლი ვხდებით დღეს. სადაც ეს უცდომა პირველად ჰეშმარიტებად და დოგმად აღიარეს — იქ ეხლა მას გასავალი აღარა აქვს, პრაქტიკულ ცხოვრებაში მაინც. ჩვენში კი „სილნის წინამდლოლნი“ ამ ძველი ამბებით უჭედენ ხალხს ყურს და ბედნიერების წყაროდ, უმაღლეს იდეად აჩვენებენ მასა. ხალხიც, გულ-უბრყვილო და შეუგნებელე ხალხიც უჯერებს ამ საეჭვო ჭკუისა და ზერელი გრძნობის წინასწარმეტყველებსა.

მაგრამ თუ ხალხს ინსტინქტი მაინც მოეპოვება თვის დაცვისა მალე იგრძნობს, რომ თვით სიცოცხლე, სიცოცხლის ხანგრძლივობის მარადისობაა ერთი უდიდესი იდეალი ყოველი ინდივიდისა. ეს სურვილია უდიდესი გამოჩენა მისი სულიერდენერგიისა. ეს იდეალი, ეს სურვილი ყოველი სოციალური პირვენებისა უნდა იყოს კერძოდ ყოველი ერისაც. თუ სოციალიზმი მისთვის საიქიო არ არის, — იგი ამას

მიხვდება და ტერრიტორიასაც დაიცავს, სამშობლოსაც შეიცვარებს და თავისთვის შეინარჩუნებს, რომ თავისი შემოქმედებით ლირსუფელებიც მუშავდები ცხოვრებისა, მომავალ საზოგადოებრივი წევრული ბისა. თუ კი მას აწმუნში თავის დაცვა არ უნდა და სხვას დაუთმო ადგილი მომავალ სოციალიზმის იმედით, — დარწმუნდეს, რომ მომავალი სოციალიზმის ნაყოფს ეს „სხვა“ მოსწყვეტს და მას არც კი მოიგონებს. ტუილია, რომ სოციალიზმის დროს სამშობლო და ერი აღარ იქნებო. — იქმნება და არც შეიძლება რომ არ იყოს. არავითარი ამის წინააღმდეგი საბუთი არ არის — სხვა დაიმკიდრებს სოციალიზმს ჩვენი ხალხის სამშობლოში, და არ ვიცი, — შეიძლება ჩვენს ხალხს სიკვდილის შემდეგ სულიერი ცხოვრებაც სწამს სოციალიზმის საიქიოში, მაგრამ ეს როგორლაც მათ წინააღმდლოლთა „მატერიალიზაცია“ ეწინააღმდეგება და რაღაც უცნაური რწმენაც არის რაღაც უცნაური საიქიო ცხოვრებისა.

პროლეტარი იქმნება თუ სხვა რომელიმე ეროვნული ელემენტი, — დაიცავს და უკვარდეს თავისი ერი, მიწა-წყალი, სამშობლო, თორემ ეხლა ისეთი ძლიერნი სოციალურნი პირველებანი იბრძვიან და აცამტვერებენ ურთიერთსა, რომ სიბრალული არ არის, და არც საუკუნეთა შემდეგ, სოციალიზმის განხორციელებამდისაც არ იქნება. ამ სამოთხის მიწად დამკვიდრებამდის კი სამშობლოს უარ-მყოფელნი ათასჯერ მოასწრებენ „აბრაამის წიალთა შინა“ გადასახლებას. იქ კი, ვგონებ, სოციალიზმს ვერა ნახვენ, რადგანაც სოციალიზმი ჩვენ ცოდვილ დედამიწაზედ უნდა განხორციელდეს თვითოველი ერისათვის, მის საკუთარ სამშობლოში.

სოციალიზმი მართლაც ტუტუცთა სათრეველი და სამასხარო რამ ხომ არ არის, რომ მისი სახელით მთელს ერს ურჩევდეს ამდენიმე წერა-კითხვის არა მცოდნე ბიჭი სამშობლოს დაკარგვასა, — მანიფესტის მე ს-49 ძალითა, ისიც ყალბად გაგებულ მუხლის ძალითა!...

ალაროდიელი.

ჩ ა მ ნ ა მ ა ვ ა

ურწმუნო, უნდო, გაქსუებულ — გზა-აბნეული,

გაუხარელი, მონა მხდალი, სასო მიხდილი;

ცხოვრების გერი, მარტო მყოფი, დაბლებული,

ქვეყნისა ბარგი, მეტი ხორცი, უძლები შვილი —

რად მშვა ბუნებამ? რა გაღმომცა? რისთვის იშრომა?

რა ჰერნდა მიზნად, რად დამბადა ეულად, ობლად?

ან დედამ გაზრდა რად იზრუნა, რად მოინდომა? —

ნუ თუ ვერ მიხვდნენ, რომ მეტი ვარ მე ამა სოფლად?

მოვკვდე — ვინ მიგლოვს? სატრფო, ძმა თუ დედა-მშობელი?

ეს კი მწამს, მჯერა, რომ შავს მიწას გაუხარდება,

ვიცი, უკვალოდ აღიგვება ჩემი სახელი,

და ჩემთან ერთად ღრმად ჩაკვდება ჩემი ხსენება.

ი. გრიშაშვილი.

მასწავლებელი მწა- რედ ქვითინებდა....

(ბიბლიურ ჰანგჰე)

—:

გაზაფხულის შხეს ის იყო მთის წვეროდან თა-
ვი ამოეყო და გამაცოცხლებელ სხივებით ცას და
დედამიწას აბრწყინებდა.

ზეთის ხილის მთის ტყე ახლად გადაშლილ
ყვავილებით მორთულ-მოკაზმული, მაღლა კორდი-
ლან ძირს ველ-მინდვრებს ამაყად გაღმოსქეროდა
და სიამოვნების ნიშნად შრიალებდა, მედიდურად
კოპწიაობდა.

ნელი, წყნარი ნიავი საამურად დასისინებდა,
ხის ფოთოლს ნაზად აშრიალებდა, მტერს აცლი-
და, ფუჩქნიდა და სასალმოდ აფაქიზებდა.

ფრინველთა სტენა, გალობა, მოუსვენარი
ფრენა-ფრთხიალი არე-მარეს სიცოცხლეს ჰუნდა
და უხენავის დიდებას გულს უნერგავდა.

ტყის ხმაურობა, ფრინველთ უივილი მსწრაფ-
ლივ მიყუჩდა და არე-მარე რაღაც მიზეზით დუ-
მილს მიეცა....

მთის მაღლობიდან, მომავალ გზაზე დიდი წი-
ნასწარმეტყველი სახედრით იერუსალიმის ქალაქისაკენ
ჩაფიქრებული ეშურებოდა;

ქალი თუ კაცი, დიდი-პატარა, ხალხი მრავალი
გარს ეხვევოდა და სიხარულით აღტაცებული ზოგი
ხის ტოტებს, ზოგიც ტანთ-საცმელს სახელას ფე-
ხვეულ მსწრაფლივ უფენდა, ზოგი კი მუხლ-მოდ-
რეკილი დიდ მასწავლებელს თაყვანსა სცემდა.

მოწმენდილ ცაზე მზე ანათებდა, და მიყუჟუ-
ლი ტყის არე-მარე კვლავ მასწავლებელს ელიმებო-
და.

ხალხი ერთთავად ურიაშულობდა და ტკბილი
გალიობით ქრისტეს ამკობდა:

„ოსანა!... კურთხეულ არს მომავალი სახელი-
თა უფლისათა!....

“კურთხეულ არს ხელმწიფე ისრაილისა“!...
ერთხმად შესძახოდა დიდი პატარა და მოწიწებით უკან
მისდევდა....

ხალხი, დიდით პატარამდის, დარწმუნებული
იყო, რომ დიდი მასწავლებელი იერუსალიმში თა-
ვის თავს ხელმწიფედ გამოაცხადებდა, ამიტომ ყვე-
ლა მხიარულობდა, მასწავლებელს თანაუგრძნობდა
და თან გამარჯვებას გულით უძლვნიდა....

მოციქულნი კი მწარედ დალონებულნი მისდევ-
დნენ და თვის მასწავლებელს ნალვლიანად თვალს
აღევნებდნენ:

იესო, რაღაც ფიქრით მოცული, მზით გაბრ-
წყინებულ იერუსალიმის ქალაქს გასცეროდა, ნა-
ბიჯს უმატებდა და მიეშურებოდა იქით, საღაც მას

ბევრი მტერი ელოდა, მის ტანჯუ-ჭიკვლურცებული
ლით ცდილობდა!....

გვიპლირისაც

რამ დააფიქრა ასე მწარედ მასწავლებელი?
მას თვალწინ უდგა მომავალი ტანჯვა-ვაება და
ყურს უჭედავდა გამხეცებულ ბრბოს ძახილი:
„ჯვარს აცვით“, რომელიც დღეს მას ლმობიერად
თაყვანსა სცემდა!... ნათლად იდგენდა გოლგოთის
მთას ჯვარით ამართულს და ზედ თავის თავს ნაგ-
ვემ-ნაცემს მაგრად მიღურსმულს....

სისხლით შეღებილს გოლგოთის ჯვარს და
იერუსალიმის მთლად დანგრევას ცხადად ხედავდა,
ამიტომაც გულ მოკლული მწარედ სტიროდა....
ქვითინებდა....

მას თავში განუწყვეტლივ უტრიალებდა მწვა-
ლებელთა შეუბრალებელი ცეცხლში დაწვა-დადავ-
ვა, თავმოყვარების შელახვა, გახრწნა-გაწბილება,
დაუსრულებელი ტანჯვა, უმანკო სისხლის დაღვრა
იმ პირთა, რომლებიც დაბრმავებულ კაცობრიობას
სიმართლეს, ერთობას და თავისუფლებას უმზა-
დებდენ....

მასწავლებელი მწარედ ქვითინებდა...

თან და თან იერუსალიმს უახლოვდებოდა,
საიდანაც ხალხის ბრბო იესოს წინ მიევება და
„ოსანა“-ს ძახილს საზღვარი აღარ ჰქონდა.

ფარისევლები გადუდგნენ წინ იესოს და უთხ-
ებეს:

„მასწავლებელო, უბრძანე ხალხს, რომ გაჩემ-
დეს“! თან გაჯავრებით ხალხისკენ ხელებს იშ-
ვერდენ.

ქრისტემ მრისხანედ გადახედა ქალაქის მმართ-
ველთ, გაიძვერა ფარისევლებს და მკვახედ უპა-
სუხა:

„როდესაც ისინი გაჩემდებიან, მაშინ ქვები
აღალადდებიან“!

გ. მოუსვენარიძე.



კომეტები

ანუ

(კუდიანი ვარსკვლავები)

ცოტა რამ კომეტაზედ საზოგადოდ: მათი მოძრა-
ობის კანონები; ფიზიკური შედგენილება;
კუდის გაჩენა; პერიოდული კომეტები; მათი
ძებნა; წრევანდელი კომეტა ჰალეი; მისი
დედამიწასთან შეხვედრა; შედეგი.—

—:

ამ ბოლო დროს ბევრს დაპარაგობდენ კომეტაზედ,
რადგანაც ერთი მათგანი მომავალ მასის შირველ რიც-

ხევის მდგრადი უნდა ესტუმროს. ძველი დოკა
ადამ კუდიანი გარსებრივი ხალხი ცრუმითწმუნობის
გამომზევი იყო; უკუკ უქედურობას მას აწერდენ, რო
ცა ის დოკ-გამომზებით ჩვენს ცის სივრცეზე გამოჩ
ნდებოდა ხლომე; ამნაირი ცრუმითწმუნობა გასაკვარვე
ლიც არ იყო იმ დროს, როცა არავათარი წარმოდ
გენა არ ჟენდათ ამ საიდუმლო მნათობზე; მხოლოდ
ტელესკოპის და სპეციალური განვითარების შემდეგ
შესაძლებელი შეიქნა გაგებები, რას წარმოადგენდა ქს
უცნაური მნათობი; საიდან გამოდის, საით მიდის და რა
კანონებს ექვემდებარება ის; მეთვალმეტე საუკუნის ბო
ლოდნ დაწებული ექსპერიმენტულურ მეცნიერების (ფი
ზიკა-ქიმიის) განვითარებამ დადად ხელი შეუწყო ასტრო
ნომის განვითარებასაც; შართალია კადევ ბეჭრია გასა
კეთებელი ამ მეცნიერების დარგში, მაგრამ იმითაც, რაც
ამდენს ხასს გაეთებულა, საშეადება მოგბერცა ბარგებრ
ბეჭრი ბუნების საიდუმლოება და ციტად თუ ბეჭრად
დაგვეძლია ჩვენი საუკუნოებით შექნიალი ცრუმითწმუ
ნობება. — ამ არი-სამი საუკუნის წინ ასტრონომიის
ასტროლოგიას ეძნებენ; ეს უკნასკნელი დასკვლეთ ეპ
ორობაში არაბებმა შემოირჩენ; მაშინდელი ძლიერი
კათოლიკური სამღვდელოება დაქარტროსა ამ მეცნიერე
ბის და ხალხში ცრუმითწმუნობის გასავრცელებელ ია
რალად გამოიყენა, მაგრამ კაშტონიერმა, გალილეომ და შემ
დებ ნიუტონმა დიდის ბრძოლის შემდეგ გათავისურ
სამღვდელოებასთან მტკიცე საუკუნელი დაუდგეს თანა
მედროვე ასტრონომიის განვითარებას; დღეს ეს მეცნი
ერება ხალხის ცრუმითწმუნობის გასავრცელებლად კი
არა, მას გონიერის ასამაღლებლადაა გამოიწყებული. —
კოსმიკამდის ჩვენი სამეცნოს ცენტრად დედა მიწა
ითვლებოდა. დიდი ბრძოლა დასტირდათ კოსკოცებს და
გალილეის დაქარტებით, რომ ჩვენი სამეცნოს ცენტ
რად დედა მიწა კი არა, უთვლის შემძლებელი და თვითა
შერჩევი მზეა, რომლის გარეშემო დედა-მიწა ისე
ტრიალების, როგორც სხვა ბლანეტები და კომეტე
ბი. — ნიუტონმა და მას წინ კეპლერმა გამოჩასეს ამ მნა
თობთა მოძრაობის კანონები და ამნაირად საშუალება მიე
ცა თანამედროვე კაცობრიობას შედარებათ სრულა და
ჭეშმარიტი წარმოდგენა იქნიას მსოფლიოს შედგე
ნილობაზე და მასს განჩნაზედ. — კომეტებიც ჩვენი მზის
სისტემს ეგუთვნიან; ისინაც მსოფლიო მამზიდველო
ბის კანონს მქონდებარებას. ისინა სამეცნოს განუზომელ
სივრციდან ჩვენ მზისაკენ მოეშურებიან; მათი რიცხვი
იმდენია, რამდენიც წეალში თევზა, როგორც დადებულ
მა კეპლერმა სოჭვა, მაგრამ უველა კომეტას გრ ვამჩნევთ
უბრალო თვალით, ზოგიც კადევ ისე შროს არის ჩვენი
მზის სისტემაზე. — რომ გაუმჯობესებულ ტელესკოპითაც
მნელია მათი დანახვა. — კომეტები, როგორც
ბლანეტები, მსოფლიო მამზიდველობის კანონის ძალით
მზის გარეშემო ტრიალებენ (და მასთან თავისი დერძის
გარშემოთაც). იმ ბლანსს, რომელიც ხდება მათი მზის
გარეშემო ტრიალი, რობიტას ეძნება. — ბლანეტების რო
ბიტა უკველთვის კლასია (მოგრძო მრგვალი ხაზი).

კომეტების არაიტების გამოანგარიშება დამტკიცა, რომ
მათი არაიტა სამი ფორმისა: ელექტრიკული
ბოლოის და ჰიბრიდოლის; ოცა როზტერ - ჰუასტრუტი
კომეტას პერიოდულს უწდებენ; ისინი უფეხლოვის
მზის გარეშემ ტრანზისტონის ტენის და გარეშემ ტრანზისტონის
განსაზღვრულ ღრცეს მოგვევლინების ხოლმე; ასეთ
შერიცდებ კომეტას გამოყენის წრევაზე კომეტა ჰალეი,
რომელზედაც ჰვემოდ გამოწება დამარავი; ოცა კომეტების
შემდეგ სარაბოლური და ჰიბრიდოლური არაიტები აქვთ,
ისინი ერთხელ მხოლოდ გამოჩნდებიან მზის სიახლოებს
და შემდეგ სამუდამოდ იყარგებიან სამეცნიერო წადში. —
კომეტების ელექტრიკული მით განიხევან ბლანეტებისა-
გან, რომ ძალას გრძელი და გირი ფორმისანი
არაიტა; კომეტების თბილიერის თრი დარს-ადსანიშ-
ნავი ალაგი აქვთ: მზესთან უახლოებეს ალაგს პერიპე-
ლის უწდებენ; მზისგან უმორეს ალაგს აფელის;
ოცა კომეტა შერიცდებაშია (მზის უახლოებეს ალაგში),
ის დიდის სიჩქარით მიისწრავება წინ. აფელიაში კი
(მზისაგან უშორეს ალაგში) ის ძლიერ ზანტად დადის;
ამშიდაც სხსნს მზის გავლენ კომეტაზედ. — ეკვალ კომე-
ტაში სამს უმთავრეს ნაწილს დამჩნევთ: გული, რო-
მელიც განცენტრირებულ მასსას წარმოადგენს და რამდენად
კომეტა მზეს უხლოვდება, იმდენად მისი გული იკუმშება
და ბრწინვალე სახეს ღებულობს; თავი, რომელიც ბურესი-
საგან შესდგება და კომეტას გულს გარეშემ შემთხვევული
აქვს; მზის ახლოს ეს თავი იძლება, ფართოვდება; —
კუდი მზის სიახლოებეს ჩნდება. რამდენად კომეტა მზეს
უახლოვდება, იმდენად ის კუდი თან და თან გრძელდება
და ბრწინვალდება. — ოცა კომეტა მზეს შორდება
გული იმჟება, ბრწინვალების კარგავს, გვდიც თასნდა-
თან მოკლდება და რამდენიმე სხის შემდეგ კომეტა ჩვენი
ჭირიზონტიდან სულ იყარება. — ამნარად კომეტის
ფრინა მზისაგან არას დამოკიდებული და რადგანაც შე-
და კომეტებს ერთნარი ფიზიკური შედგენილება არ
აქვთ და მზეზედაც ერთნარად არ არას დაშორებულ-
ნი, მათი ფრინა სხვა და სხვანარია მზესთან მასლო-
ვებისას. — კომეტის ფიზიკურ შედგენილებაზედ ბევრი
ჭირიზონტია ერთი მეორის წინააღმდეგი; მათი არამატე-
რიალური შედგენილება დღეს უსაფუძვლოდ მიაჩნიათ,
რადგანაც სეპტრალურმა ასალიზმა დამტკიცა სული-
ად წინააღმდეგი; აგრეთვე კომეტები ან უპერ რომ ვსთქვათ
მათი უმთავრესი ნაწილი, გული, არ შესდგება გაზისაგან,
არც თხელი ნივთიერებისაგან, როგორც ზოგიერთები
ამტკიცებენ, რადგანაც გარსევლავების სინათლე, რომე-
ლიც თავისუფლად გამოსხინს კომეტების გულიდან, ან
იღუნება, არავითარი რეფრაქცია არ ხდება კომეტების
გულში. — ამნარად ის აზრია უფრო გაურცელებუ-
ლი, რომ კომეტები მაგარი ნივთიერებისაგან შესდგება;
იტალიელი ასტრონომის სკაპარელის აზრით; კომეტები,
როგორც მოწევეტილი გარსევლავები და მეტეორიტები
მაგარი პარტიკულებიდან (ნაწილებიდან) შესდგება; პარტი-
კულები დიდის სიჩქარით გზაში ერთმანერთს ეჭანება,
ცეკვდება და აქედან კომეტის გული ბრწინვალე ფერს

დექტონის. — ფრანგი ასტრონომი აბე მორე (ბრუჯის თბილეულობრივი ცნობილი დირექტორი) ამბობს, რომ კომიტეთი მაგარ ნივთიერებისაგან შესდგება, მხოლოდ ეს ნივთიერება მცველი მასის არ წარმოადგენს, არამედ კონგლომერატებს; ამ კონგლომერატების გარეშემო შემთხვევულია ჭიდროკარბოული გაზი (ეს გაზი უმთავრესად წევალმადისაგან (H) და სახმარმადისაგან (C) შესდგება), როგორც სტეპტრალურმა ანალიზმა დამტკიცდა. მზის რადიაგრაფიული ძალის ზე გავლენით გაზის სახვევი ბრწყინვალე ფერს იღებს. — უფრო გავრცელებულია ის აზრი, რომ კუდაც თვით კომიტეს გულიან ჩხდება; მაშისადამ კუდაც კონგლომერატებისაგან შესდგება, რომელთაც გარეშემო გაზი ახვევია; მხოლოდ კუდში კონგლომერატები ერთმანეთზედ დიდ მასიულზე არაა დაშორებული, აյ მასის საზოგადოდ ბევრად უფრო თხელია, ვიდრე გუდში. რა მიზეზით ჩხდება კუდი? ეს მიზეზი თვით მზის ფიზიკურ ფისკებში უნდა ვეძით — ჩვენ ვაცით, რომ უზევე ელექტრო-მაგნიტის თრი ბალუსი აქვს: ბაზიტიური და ნებატიური. კუდი ჩხდება მაშინვე, როცა კომიტე მზის უხლოებები; თუ კომიტის ახლოს მზის სხივები ელექტრო-ნეგატიურ ძალას შეიცავს, ის იზიდავს კომიტის ელექტრო-ზიტიურს, — ნეგატიურს კი ისერის შროს. აქედან შარტიგულები დიდის სიჩქარით გარდება ივირებს, ეს შარტიგულები გზაზე კიდევ ერთი მეორეს ხვდება, ესახუნება და ძლიერ ცხელდება (სკაპარულის თერია). ამას თუ დაუმატებო კიდევ აბე მორეს თეორიას, რომ კონგლომერატების შემთხვევულ გაზეზე მოქმედებს მზის რადიოგრაფიური ძალა, ცხადი იქნება, თუ რისვისა კომიტის კუდი ასე ბრწყინვალე. — აქედან ცხადია ისიც, რომ კომიტის კუდი მზის წინააღმდეგ და დედამიწის თრიალუსკენ არის მიშერილი. როგორც სტეპტრალურმა ანალიზმა დამტკიცდა, კომიტებიც თითქმის იმავე ელემენტებისაგან შესდგება, როგორც სხვა მნათობები, მხოლოდ სხვა-და-სხვა კომიტები ერთი და იმავე ელემენტებისაგან არ შესდგება და მათი ფორმა, ფიზიკური და კოსმიური მოვლენებიც სხვა და სხვანარია. — ცნობილი ასტრონომი ფლამარიონი ამბობს, რომ კომიტები მზის ამონას ერთა ერთ გარემონტინისაგან გაჩნდენ; შეეღწი ფიზიკურ ფისკებს არ შესდგება და მათი ფორმა, ფიზიკური და სხვანარია, მაგრა მათი მოვლენი; ეს უკნასკნელი მათემატიკურის სისტრიდი შესწავლილია. — ის შერიცდეულ კომიტების ჯგუფს მეუთხოს; ასტრონომების გამოკვლევით ეს კომიტა როჯერ გამოჩენილა ქრისტეს დაბადების და 24-ჯერ ქრისტეს დაბადების შემდეგ; უკნასკნელ დროს 1835 წელს გამოჩენდა, იმის წინ 1758 წელში და ამნაირად უფეველ 75 წელს ერთხელ გეგესტურება ხოლმე. — 1682 წელში, როცა ეს კომიტა ერთხელ კიდევ გამოჩენდა უკოპაში, ბირეველად ინგლისელმა ასტრონომმა ჰალემ ისარგებლა ნიუტონის მეთოდით და შეისწავლა მისი თრიატია; მან შეადარ იგი სხვა წინანდელ კომიტების და ნახა სრული მსგავსება ამ კომიტას და იმ კომიტების შროის, რომელიც 1607 და 1531 წელში გამოჩენილა. აქედან მას დასკვნა, რომ იგივე კომიტა 1758 წელში კიდევ უნდა გამოჩენდეს. მართალია, ჰალეის არ დასცალდა, ის 1742 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მისმა შთამომავლობამ დაინახა მისი წინასწარმეტეულების ჰელმარიტება, როცა 1758 წელს უკვე დათვის გასაკვარველად გამოჩენდა ეს კომიტა. — ამ წელს ბირეველად ერთმანებულმა გლეხმა მაფიისა ის ცაზედ; აქედან დამტკიცდა, რომ ეს კომიტა შერიცდეულია; გლეხს ნალის

კომიტების ძებნა? ამ უამად უგელა კულტურულ ჰემუნდის არამც თუ თითო, არამედ რამდენიმე ფრანგულობრივი და მხრით ამერიკელებს საპატიო ალგურ სტრუქტურული ციტატების ბევრი მდიდრულად მოწეობილი აბსერვატორია და ასტრონომიულა დაგვირვებინიც ძრიელ განვითარებულია. — კომიტების მექანიკელებს სხვანაირდ კომიტების „მონადირების“ ექსპიცია; მათი აპარატი ცოტად თუ ბევრად გნისხვადება ჩვეულებრივ ტელეგრაფისაგან; უმთვარო დამები ასტრონომი ამ ამარატით ათვალიერებს ცის თაღს მასამდის, სანამ საეჭვო საგანს არ შეამჩნევს ცაზედ; ამნაირი საეჭვო რამ ბურუსანი დაქა, რომელთა რიცხვი ცაზედ ბევრია, მხოლოდ იგი უმოძრავოა; კომიტა-კი მოძრავია. — რამდენიმე საათის დაგვირვების შემდეგ, თუ დაქაშ ალაგი შეაცვლა, ასტრონომი რწმუნდება, რომ ასაფი კომიტა და მაშინვე საზოგადი ინსტრუმენტით და ტელეგრაფით მეტის სისტრით აღნიშვნას ცაზედ და ცის რეჟის ცაზედ კომიტის მდებარეობას, ამასთასავე აგზავნის ტელეგრაფის ცენტრალურ ასტრონომიულ დაწესებულებაში, რომელიც კიდევ მეტავრობა (გერმანია) მოთავსებულია, აქედან ტელეგრაფის გვაზავნებათ უველა კვეუნის აბსერვატორების და უველა ასტრონომიები თვალეურს ადეგნებენ კომიტის მოძრაობას და იკვლევენ მის რობიტას. — ასეთი ინტერნაციალისტური რგანიზაცია ადგილად ხდის რამდენიმე საათში მოულ კვეუნის ეუწეს ასაფი კომიტის აღმოჩენა; კომიტას ერტმენა იმ ასტრონომის სახელი, ვინც შირველად აღმოჩენის ის ცაზედ — მაგ. წარსულ იანვარში ითავასისბურგის აბსერვატორიაში (სამხრეთ ათრიგაში) თრმა ინგლის სელმა ასტრონომის აღმოჩენებს სულ ასაფი კომიტა; მას უთუდ ერთი რომელი ამ ასტრონომის სახელს დაარქევენ. — ამ უამად ეს კომიტა ჩვენს მზის სისტემას უკვე შორდება და ჩვენ მასზე არ შეგერღვებით. ჩვენ უფრო გააინტერესებს მეორე კომიტა, რომელსაც მაისი მოვლენით; ეს უკნასკნელი მათემატიკურის სისტრიდი შესწავლილია. — ის შერიცდეულ კომიტების ჯგუფს მეუთხოს; ასტრონომების გამოკვლევით ეს კომიტა როჯერ გამოჩენილა ქრისტეს დაბადების და 24-ჯერ ქრისტეს დაბადების შემდეგ; უკნასკნელ დროს 1835 წელს გამოჩენდა, იმის წინ 1758 წელში და ამნაირად უფეველ 75 წელს ერთხელ გეგესტურება ხოლმე. — 1682 წელში, როცა ეს კომიტა ერთხელ კიდევ გამოჩენდა უკოპაში, ბირეველად ინგლისელმა ასტრონომმა ჰალემ ისარგებლა ნიუტონის მეთოდით და შეისწავლა მისი თრიატია; მან შეადარ იგი სხვა წინანდელ კომიტების და ნახა სრული მსგავსება ამ კომიტას და იმ კომიტების შროის, რომელიც 1607 და 1531 წელში გამოჩენილა. აქედან მას დასკვნა, რომ იგივე კომიტა 1758 წელში კიდევ უნდა გამოჩენდეს. მართალია, ჰალეის არ დასცალდა, ის 1742 წელს გარდაიცვალა, მაგრამ მისმა შთამომავლობამ დაინახა მისი წინასწარმეტეულების ჰელმარიტება, როცა 1758 წელს უკვე დათვის გასაკვარველად გამოჩენდა ეს კომიტა. — ამ წელს ბირეველად ერთმანებულმა გლეხმა მაფიისა ის ცაზედ; აქედან დამტკიცდა, რომ ეს კომიტა შერიცდეულია; გლეხს ნალის

თავისივე სოფელში ძეგლი აუგას, კომეტას კა უპდავი
ასტრონომის ჭალეის სახელი უწოდეს; შემდეგ 1835
წელს და ქლაც ამ წელიწადს ეს კომეტა ხელახლავ
დაუბრუნდება ჩვენ მზის სისტემას; შემდეგში 1985
წელს კადევ მოვალინება, მაგრამ ბევრი ჩეგნთაგანი მას
მშლავ ვეღარ იხილავს. — კომეტა ჭალეის არბიტა გრძელი
და გირი ელიშათ, როგორც საზოგადოდ უველა შერი-
ოდევ კომეტებისა; შემოგაზოთ ქადალდზად წრესა;
მუშა (ცენტრში) წარმოვადგინთ მზე; წრე
ჩვენი შლანეტის (დედა - მიწის) არბიტა იქნა;
კომეტა მოდის ზევიდან მარჯნით; ის თანდათან უა-
ლოვდება ჩვენს მზის სისტემას. 25 თებერვალს მან
გადასჭრა დედამიწის არბიტა; 7 აპრილს ის შერიჭელი-
აში იქნება (სამხრეთი), ე. ი. მზეზე უახლოვეს ალაგის. —
5 მაისს დედამიწისთნ სულ ახლო მანძილს დაჭერს. ამ
დროს დედამიწა, კომეტის თავი და მზე ერთ სწორ
ხაზზე იქნიან; 17 მაისს ის ხელახლავ გადასჭრის
ჩვენს შლანეტის არბიტას (ამჟამად მარცხით) და შემ-
დეგ თხ-და-თხ დაშროდება ჩვენ მზის სისტემას; მარ-
ტის შირველ რაცხვებამდის ის მოსხნდა სადამობით მზის
ჩასჭირისას და აუგვითით; მარტის სახევარში ის მზის
სხივებში დაიმალა და არა სხინდა; მარტის ბოლოს და
თთქმის მოელ აპრილის განმავლობაში შესაძლებელი იქ-
ნება მისი დანახვა აღმოსავლეთით განთავდისას; 7 აპრი-
ლიდნ მაინც ის მზის ახლოს იქნება: თანდათან ბრწყინ-
ვალე ფერს იღებს, ასე რომ აღდგომას ცისკარზედ საუ-
ცხოვო სახისადა იქნება; მაისის ბირველ რიცხვებში,
როცა ის იქნება მზისა და დედამიწის შეა, კვლავ მზის
სხივებში დაიმალა და შეუძლებელ იქნება მისი დანახვა,
მხოლოდ 7 მაისიდან ის ხელახლავ გამოჩენდება სადამო-
ბით დასავლეთით. — შემდეგ კა სულ გაქრება ჩვენი მზის
სისტემიდან, რომ შემდეგ კადევ მოვალისთვის მას 75
წლის შემდეგ, ე. ი. 1985 წელს. — კრიტიკული მომენ-
ტი, თუ შეიძლება ასე გსოვან, 5 მაისს იქნება, როცა
კომეტა დედამიწის უახლოვეს მანძილზედ იქნება. ასტრო-
ნომების გამოანგარიშებით ამ დროს მისი გუდი დახ-
ლოვებით 26 მილიონი კილომეტრის (გერსის) სიგრძის
იქნება; ასე რომ შეიძლება ჩვენი შლანეტის მართლაც
გაეხვითს ამ კუდში, მაგრამ განა აქედან მას რამიტ საფრთხე
მოეფის? სრულიადაც არავერ. — მართალია კომეტას და
მისი კუდის ფიზიკური ქიმიური შედგენილებას დადა მნიშ-
ველობა აქვს ამ შემოხვევაში: მართლაც, თუ კომეტა
ციანიურ გაზისაგან და ნახშირმადისაგან შესდგება უშეტეს
ნაწილად, ეს გაზები ძრიულ მავნებელია და შეიძლება ჩვენი
ატმოსფერის მოიშამოს, მაგრამ ბენების უფლად-შემძლე-
ბელი ძალა ინახება ჩვენის სამეცნიერო გარმონას: კუდში,
როგორც ზეგით გსოვან, უველა ელემენტები შეტის
მეტად თხლადა, ასე რომ ჩვენი ატმოსფერის მოსაშეა-
მდად მისი გაზები საქართვის არ იქნება არასოდეს. იუთ
ისეთი შემთხვევები, როგორც მაგ. 1819 და 1861
წლებში, როცა დედამიწა ჩაიფლო კომეტის კუდში, მაგ-
რამ შედებად უმშეგნიერესი სურათი: ცის თაღის გნათე-
ბა მოჰქმდა. — 1883 წელს ერთი კომეტა შლანეტა იუპი-

ტერს მოხვდა, მაგრამ დაზიანდა თვით კომეტა და ას-
ევე იუპიტერი; 1872 წელსაც კომეტა ბევრა მოხვდა
დედამიწას, მაგრამ თვით კომეტა მტერალ მოჰქმდა დედა-
მიწას კა არავერი და მავებია. — წელს უდიდესი მოედან
შეგვიძლია გსოვან, რომ ამაზედ მეტი უბედულება არს-
ებით იქნება. — ამრიცის ბოლოს და მაისის დასწესები
კომეტი მოვლენათა ცერით დაგრებულია; შეიძლება
ჩვენს მეტეოროლოგიაში რამე ცვლილებები მოხდეს, მაგრამ
მეტეოროლოგიური მოვლენები (წვიმი, სიცე და სხვა...)
ზოგჯერ თუ მაგნებელია, ზოგჯერ სასარგებლია. ბუნე-
ბას არ უვარს უნივერსალური გატაკლიზმები; სამეცნი-
ების განება და მისი განვითარების უვლეულია სათლად ჟო-
ული ამას. — ადამიანის ბასრი გონიერი სამეცნიერო განუხო-
მელ სივრცეში და დორში ბენების ბევრ საიდუმლოებას
მისწერდა და მათი შეუძლებელი და უტევარი განონები
გამოხასა; მისი მახვილი გონიერი აქ ვერ შეჩერდება და
თავისივე შექმნილი მეთოდით არა ერთხელ დაგვნახებებს
კიდევ ბენების სასწაულებს; ცურმითწმუნებით კა არა,
შეცნიერულ გვლევა-ძიების საშეალებით ადამიანი გახდე-
ბა ბენების სამდგილ შევედ; შეიძლება დღევანდელი
შეცნიერული განონები ჩვენ არავერის გვეუბება იმის
შესახებ, თუ რისთვის ხდება უველა ეს ბენების მოვლე-
ნები; მაგრამ საქმიანი ჭეშმარიტებით ვიცით, თუ რო-
გორ ხდება ეს მოვლენები და აქ არას თანმიეროვე
შეცნიერების ძლევა-მოსილობა...

ინჟ. ივ. მეძმარიაშვილი.



გაზაფხული

ველი იშლებს, იმოსება ზურმუხტის ფერად:
და ცა ფირუზი დაპერებათქათებს კეკლუც მიღამოს,
მკვდარი ბენება ღონეს იკრებს, იღვიძებს კვალად,
ბუქები ბულბული ვარდს უმღერის ჰანგა
სამოს...!


წყარო მოშენების; ნაკადული მშვიდად ლიკლიკებს,
ზვირთი კამკამა ეკუურება იას თავ დახრილს;
მთებისა შვილი სიონ წყნარად დაპერების, სისინებს
და ბალ-წალკოტში, ნელა არხევს მრავალ ფერ
ყველილს.

ყველა სულდგმული ალტაცებას ეძლევა, ჰაბარობს,
ჰუეთქს ჰარმონია, და სიცოცხლე მასში გაღმოღულ
ნორჩი სუმბული ბუქების ძირში ნაზობს, ნანჩარობს,
მთებში მზის სხივი ყინულს აღნობს და ძირს
გაღმოჰქმდს...;

მე-კი საბრალო გსდევარ ბალში დაღონებული! ცხოვრებისაგან დაღ დასმული, მჭმუნვარე სახით, მე არ მახარებს ყვავილებით ვეღი ჟემკული და მშიდ გაზაფხულს ვეგებები კვნესა-ვაღლისხით!...

გამწარებული მწვანე მთა-ბარს, მიმოვავლებ
თვალს.
იქ კვალად მოსჩანს შავ ცხოვრების შავი აჩრდილი;
და როს შევყურებ ბურუსითა მოულს მომავალს,
მის კეცდება გვემულ გულში სევდა, სახმილი!...

ၬ. တွေ့ဆုံးလောက်ခွဲမြောက်.



Յ Ե Կ Ւ Ո Հ

(ପ୍ରକାଶକୁଳ)

გონებრივი განვითარება და ეკონომიკური წინ-
მსვლელობა, რა ოქმა უნდა, აუცილებელი პირო-
ბაა ერის აღსაღენად, მაგრამ ეს მაინც ცოტაა.
ცოტაა მარტო თეორიული ბრძოლა, ცოტაა მარ-
ტო ეკონომიკური ქიშხობა. ბოლოს და ბოლოს ყო-
ველი ერისათვის, რომელსაც კი ჯერ კიდევ სრუ-
ლებით ხელი არ აულია თავის ყოფა-ცხოვრებაზე,
საჭირო არის და აუკილებელი... სამხედრო ძალა.

ეს გასაკვირიც არ არის.
პიროვნული ან საზოგადოებრივი ინტერესების
შეტაკება ყველგან ხშირია და ყველგან, სადაც კი კულ-
ტურული ცხოვრება არის, არის უფლებაც და
სასამართლოც. ყველგან ცოტათი მაინც მოსახერ-
ხებელია და შესაძლებელი კაცმა დაიცვას თავისი თავი,
თავისი ინტერესები. მე თუ ვინმე ძალას მაყენებს,
შემიძლია ყოველთვის მიემართო სასამართლოს და
დავიცვა ჩემი შელახული ღირსება ან ქონებრევი
მრგომარეობა.—

სულ სხვა პირობებში დაჩაგრული ერი, ე. ი. ისეთი ერი, რომელიც არ წარმოადგენს სახელმწიფოს და არა აქეს სახელმწიფოებრივი ორგანოები თავის დაცვისა: არა ჰყავს მეთაური, მართებლობა, ჯარი. რა ჰქნას ამისთანა ერმა? როგორ და რა გზით უნდა დაიცვას იმან თავი, თუ ყოველი მისი უფლება უარ-ყოფილია ან სასაკილოდ აგდებული? ვსოდეთ, მაგალითად, გაბატონებულმა ერმა დაიჭირა მიწა-წყალი დამონებული ერისა, ან სხვას გადასცა, სულ გარეშე ხალხს დაუნაშილა ეს მიწა-წყალი. ი, როგორც ჩვენში მოხდა: მაშინ როდესაც საქართველოს გლე-

ხობა სიმშილით ჰკვდებოდა უმიწობის და სიღარი-
ბის გამო, საქართველოს მიწა-წყალი, ქართულების
სისხლით მორჩყული ოცი საუკუნის გრძელობაში,
დაურიგეს გერმანელებს, ბერძნებს, რუსებს, სომ-
ხებს... ერთის სიტყვით, ყველას—გარდა ქართვე-
ლებისა. — რა უნდა ჰქნას ერმა ამისთანა მდგო-
მარეობაში? მარტო თეორიული დავა და უფლე-
ბრივი მოსაზრება აქ ვერას გიშველის, შეიძლება
ამისთანა შემთხვევაში ააღაპარაკო მთელი ადგი-
ლობრივი უურნალ-გაზეთობა, მანც უსამართლობა
უსამართლობადვე დარჩება და შემოსეული მტერი
უურებსაც არ გაიბერტყავს.

ეს თავისებური მხარე ეროვნული საკითხისა
ძალიან კარგად შეიგნეს ჩეხებმა და ყველაზედ ად-
რე პრაქტიკულად გადაწყვიტეს იგი — დაარსეს
და შექმნეს ეროვნული სამხედრო ძალა „სოკო-
ლი“.

ეს დიდად საყურადღებოა.

კაცობრიობის ისტორია ამტკიცებს, რომ ის ერთ, რომელიც ერთხელ დაეცა, თვითონ თითქმის ვერა სდგება ფეხზე. მისთვის საჭიროა რაიმე გარე განი ძალა, რომ წამოაყენოს იგი, ან გამოცვლა იმ ძალებისა, რომლებმაც გამოიწვიეს მისი დაცუმა. ისეთი მაგალითები, როგორც არის იტალიის გან-თავისუფლება, ძალიან იშვიათია. გარიბალდი მთე-ლს ისტორიაში მხოლოდ ერთია; მერე რამდენ-ჯერ იყო გარიბალდი დამარცხებული? გაიმარჯვა მხოლოდ მაშინ, როცა პიემონტის სახელმ-წიფომ მხარი დაუჭირა და საზოგადო ევროპის დიპლომატიაშ შეღავათი მისუა... აქედან აშკარაა, რომ დღეს ყოველი ერთ დაკარგულია, ვინც კი სასწაულს მოეილის ისტორიაში. ყველგან ცდა უნ-და, ყველგან მუშაობა, ყველგან მომზადება და ორგანიზაცია.

ამ გზას დააღვენენ ჩეხები;

1862 წელს ეროვნულ მოძრაობის სათავეში გამოჩნდა ახალგაზდა ჩეხი — დოქტორი ტირში (Tirs). მან და მისმა ამხანაგებმა ქალაქ პრაჟაში დაარსეს გიმნასტიური საზოგადოება — „სოკოლი“. სახელმძღვანელო მოსაზრება იყო შემდეგი: ბრძოლა — ცხოვრების კანონია. ამ ბრძოლაში გამარჯვება დარჩება მხოლოდ იმას, ვინც უფრო ძლიერია, უფრო მომზადებული, უფრო ხერხიანი და შეგნებული, ამ ბრძოლას განიცდის ერიც და ისიც ექვემდებარება იმავე კანონებს. აქედან აშკარაა, რომ მხოლოდ ის ერი დარჩება გამარჯვებული, ვინც უფრო მომზადებულია და ძლიერი. მომზადება, ფიზიკური განვითარება და ჯანმრთელობა ახალთაობისა — იქნება იმავე დროს განვითარება და ჯანმრთელობა მთელი ერისა. ამიტომ თავდა პირველად ფიზიკურ ვარჯიშობას და საზოგადო გიმნასტიკას ეჭირა პირველი ადგილი ამ საზოგადოებაში.

მეითხველი აღვილად მიხვდება, რომ ეს იყო
მხოლოდ საფარი: ნამდვილი მისწრაფება კი უფრო
დამალული იყო, რაღანაც მაშინ, 1862 წ. ავს-
ტრიის მართებლობას შეეძლო ნება არ მიეცა ამი-
სთანა საზოგადოების დაარსებაზე და სათავეშივე
ჩაეშალა ეს საინტერესო დაწესებულება. მაგრამ
დოქტორი ტირში ხერხიანად და დიპლომატიურად
იქცეოდა და უფრო ხელსაყრელ მომენტს ეძებდა,
რომ კანონიერი ნიადაგი მიეცა მთელი საზოგადოა-
ებისათვის. ეს მომენტიც მალე აღმოჩნდა. 1866
წელს, როცა პრუსიამ ავსტრიას ომი გამოუცხადა,
მაშინ ტირშიმ წინადადება შეიტანა უმაღლეს მმარ-
თველობაში — ნება მოგეცით ჯარი მოვაგროვ
„სოკოლებისა“ და დავიცვა სახელმწიფო საზ-
ღვრებით! — მმართველობა მიუხვდა რაშია საქმე,
ნება არ მისცა, მაგრამ აგრე საქვეყნო და საპო-
ლიტიკო ასპარეზზე გამოსვლა „სოკოლის“, რო-
გორც სამხედრო ორგანიზაციისა, დიდმნიშვნელო-
ვანი იყო და დიდი ყურადღებაც მიიზიდა ყოველ
მხრივ.

იმავე ტირშიმ შეიძუშავა სამხედრო ტერმინო-ლოგია მიხვრა-მოხვრის, მოძრაობის და ბრძოლისა. იმან დიდი ყურადღება მიაკავა ამავე დროს სილა-მაზეს და ესტეტიურს მხარეს. თითქმის ყოველი პოზა, რომელიც შემოღებულია „სოკოლურ“ სწავლა-განათლებაში, ამოღებულია ძველი საბერ-ძნეთის ხელოვნებისაგან. სხვა და სხვა ძეგლი, ქა-დაკება, მხატვრობა, რაც კი დაუტოვა ძველმა საბერძნეთმა კაცობრიობას, ტირშიმ გადაათვალიე-რა და გულდასმით შეისწავლა; მერე ყოველ მიხვ-რა-მოხვრას, ყოველ პოზას, მისცა ჩეხური სახელი და შეიტანა სასწავლებელ პროგრამაში. ამ რიგად ყოველი ახალგაზრდა ჩეხი, რომელიც შედის ამ ორგანიზაციაში, თან-და-თან ეჩვევა შვევნიერს, პლასტიკურს მიხვრა-მოხვრას; სამხედრო გიმნასტი-ური ვარჯიშობა უმატებს ჯანმრთელობას, მხნეო-ბას და გაბედულობას. ვარჯიშობა კი ყოველნაი-რია — სირბილი, სიარული, ხტომა, ცურვა, ჯირითი, სროლა და სხვა და სხვა... ყველამ კარ-გად იცის, რასაკვირველია, რომ თვითონ სული ამ ვარჯიშობისა, შიგ დამარტიული წმინდა იდეა გახლავს სამშობლო და მისი სამსახური.

ყველამ კარგად იცის, ქალია იგი თუ ვაჟი,
რომ ერთად ერთი და უმთავრესი დანიშნულება
„სოკოლისა“ არის მხოლოდ ეროვნული ინტერესის დაცვა მთელი ჩეხისა. ყველამ იცის, რომ ჩეხია ერთი შტო არის სლავიანთა რასისა, რომ
ეს შტო ძალიან წინ წასულა, გაურღვევა გერმანელების მასსა და ამმასისის შუა თვითონ არის მოქცეული. ყველამ იცის, რომ ამისთანა მდგომარეობაში ერს უნდა ჰყავდეს თავისი ჯარი, თავისი სამხედრო ძალა, რომ შეეძლოს თავისი დაცვა, როცა საჭიროება მოითხოვს.

ამიტომ „სოკოლის“ ორგანიზაცია — რამდენა-
დაც ამის შესწავლა მე მოვახერხე, როგორ უმავრესობას ი-
ჰაში, ისეთია, როგორც შეცვერის სამხედრო დაწყებულებების
ლებას, მხოლოდ მოწყობილს დემოკრატიულ ნიადაგ-
ზე. ამ ორგანიზაციის სათავეში სდგას კომიტეტი. კომი-
ტეტი შესდგება დელეგატებისაგან. ყველგან, ქალა-
ქებასა და დაბებში, თითო ათასი „სოკოლი“ იჩ-
ჩევს ერთს დელეგატს. ამგვარად ამორჩეული დელე-
გატები, რომლებიც შეაღენენ ცენტრალურ კომი-
ტეტს, ირჩევენ გამგებას, რომელიც შესდგება
ხუთი პირისაგან: აქ არის თავმჯდომარე, მისი მთა-
დგილე ხაზინადარი, მდივანი და თანა შემწე. ეს
ხუთი პირი განაგებს მთელი საზოგადოების საქმე-
ებს და მიმართულებას აძლევენ მის შრომას და
მოღვაწეობას. ჩაც შეეხება ტეხნიკურ მხარეს, იგი
„ტეხნიკურ კომიტეტის“ ხელშია. ეს კომიტეტიც
არჩევული უნდა იყოს დელეგატთა კომიტეტის
მიერ.

ეს ცენტრალური ორგანოა პრაქტიკი. თუმცა
ეს კომიტეტი მთელი ორგანიზაციის სათავეში
სდგას, მანაც იგი სრულებით არ ჰქოლდავს აღვი-
ლობრივ საზოგადოებათა თავისუფლებას. მთელი
ჩეხია მოფენილია ამ საზოგადოებებით; ყოველი საზო-
გადოება ქალაქებსა და დაბებში სრულებით თავი-
სუფალია და დამოუკიდებელი; ცენტრალურ კომი-
ტეტის ზეგავლენა გამოიხატება მხოლოდ ერთ და
იმავე საგიმნასტო პროგრამმაში, ერთ და იმავე
სამხედრო წრთვნასა და განათლებაში. სხვაფრივ
„სოკოლის“ ყოველ ადგილობრივი საზოგადოება,
ვიმეორებ, სრულებით თავისუფალია: იგი ღებუ-
ლობს თავის წევრებს, როგორც თითონ უნდა;
ჯართ-აღრიცხვა, შემოსავალ-გასავალი, სახლის ჭი-
რა, მასწავლებლების ჯამაგირი, დღეობის გამარ-
თვა და სხვა-და-სხვა — სულ ეს მხოლოდ ადგი-
ლობრივ კომიტეტის სურვილზეა დამკიდებული.

ამისთანა დეცენტრალიზაციაშ დიდი სარგებლობა
მოუტანა „სოკოლის“ ორგანიზაციას. იგი წარმო-
ადგენს ქალა საკეირველს და ძლიერს ფედერაციას.
მთელი ჩეხის ახალგაზღიუბა, ცოტათი მაინც შეგნე-
ბული და განათლებული, ესწრაფის გახდეს ამ
ორგანიზაციის წევრი. ყველა სკოლებში მაღებუ-
ლია ამ საზოგადოების წარმომადგენელი, იგი ას-
წავლის ბავშვებს გიმნასტიკას და სამხედრო ვარჯი-
შობას, ასწავლის საშობლო ენაზე, ჩეხურის ტერ-
მინებით: ეს სწავლა, ოოგორც მოგახსენეთ ერთი
და იგივე ყველგან და რა გასაკეირველია, თუ მთელი
ჩეხის ახალგაზღიუბა ერთნაირად არის გაწრთვნილი
და ერთის გრძნობით და აზრით გატაცებული. —
დიდი ყურადღებაა მიქცეული იგრეთვე იმ ხანაზე,
როცა ყმაწვილი კაცი გამოდის სასწავლებლიდან,
ამთავრებს იქ სწავლას. მაშინაც ყოველი ყმაწვილი
კაცი ჰრატეს თავის მოვალეობად ჩაეწეროს „სოკო-

ლად“ და მიიღოს მონაწილეობა ამ ორგანიზაციის ცხოვრებაში.

„სოკოლმა“ მალე მოიკიდა ფეხი ჩეხიაში. სანაც, რომ ერთი სულიერი მოთხოვნილება მივიდა იმ ზომამდე, რომ დაალბო და გააპიხიერა ეროვნული ნიადაგი ყოველ ეროვნულ ძალის აღმოსაცენტრად,

ეხლა ამ ორგანიზაციამ მოჰქონა და დაიპურო არამც თუ მთელი ჩეხია, იგი დიდი ხანია — გასცდა ჩეხიის სამზღვრებს და უცხო ქალაქებშიაც. შეკრიბა და შეაერთა ჩეხელები. რაღა გავაგრძელო, აქაც, თბილისში საქართველოს დედა-ქალაქში, არსებობს „სოკოლის“ საზოგადოება!

„სოკოლი“ ქალაქ პრაჟაში მართავს ყოველ მეხუთე წელიწადში ერთს დიდს დღეობას. ამ დღეობას სწორედ ისეთივე ხასიათი და მნიშვნელობა იქს, როგორიც ჰქონდა ძველ საბერძნეთში ოლიმპიურ დღესასწაულებს. ჩეხიის ყოველ კუთხიდან და უცხო ქვეყნებიდან მაშინ მოდიან „სოკოლები“ და თავს იყრიან პრაჟაში. ამ დღეობას ქვიან „სოკოლების ჩამოფრენა“. მართლაც მოჰქონავენ პრაჟაში ახალგაზდა ყმაწვილ კაცები და ქალები; ქალაქის გარედ არის ვრცელი მინდორი, რომელსაც ბელვედერის მიდამოს ეძახიან და დიდად წაავავს ჩვენს დიდუბის ველსა. აქ შემოხაზულია ვრცელი ადგილი საგიმნასტო და სამხედრო ვარჯიშობისათვის. ერთ მხარეზე აშენებულია უშველებელი ამფითეატრი მაყურებელთათვის, სადაც შეიძლება თავისუფლად მოთავსდეს 50.000 ადამიანი.

ეხლა „სოკოლი“ შესდგება 711 საზოგადოებისაგან, სადაც ითვლება 58.000 წევრი. ამას გარდა ეხლა 7.000 გასათხოვარიც ჰლებულობს მონაწილეობას.

აი ის ჯარი, ის სამხედრო ძალა, რომელიც შექმნა ჩეხიამ. ეს ჯარი უბრალო სალდათებისაგან კი არ შესდგება; უგუნური და უმეცარი იქ არავინ მოიპოვება. იმას შეადგენს გაწვრთნილი და განათლებული ახალგაზდობა; იურისტები, ექიმები, ინჟინერები, სხვა-და-სხვა სასწავლებელ — დამთავრებული ახალგაზდობა შეადგენს ამ ჯარის რაზმებს. ეს გონებით განვითარებული ახალგზადობა იმავე დროს წარმოადგენს საგრძნობელს სამხედრო ძალას: იგი პატარაობიდანვე სწავლობდა ყოველ სამხედრო წესს და მოთხოვნილებას, ბავშობიდანვე სამხედრო დისკიპლინას. და თითქმის ყოველი სამხედრო — საკომანდო სიტყვა გამჯდარი აქს ძვალ-რბილში. რასაკვირველია ამ აღზრდას არაფერი აქს საერთო იმ წრთვნა-ვარჯიშობასთან რომელიც მეფობს ჩვეულებრივად სახელმწიფო ჯარში. მუშტი-კრივით და ცემა-ტყებით კი არის გაწრთვნილი და განვითარებული „სოკოლის“ რაზმი, არამედ აზრით და ზნეობრივი ზედგავლენით. ეს ორგანიზაცია განსაკუთრებით იღერურია: იგი აღმოცენდა ჩეხიის ეროვ-

ნული მოძრაობის ნიადაგზე და ააფრიალა დროშა, რომელზედაც აწერია — ჩეხიის თავისუფლების დროშა.

რა მშვენიერს სურათს წარმომდგრენაზე დეჭურებული დერის მიღამო, პრაჟას გვერდით, სადაც 8.000-მდე ახალგაზდა ყმაწვილ კაცი, გარიბალდისებურ ტანისამოსში, ლამაზად ჩარაზმული ისე, როგორც ერთი ადამიანი, ასრულებდა სხვა და-სხვა სამხედრო ბრძანებას! ეს იყო ამ ორი წლის წინეთ. უნდა გენახათ ეს საკვირველი ზღვა ახალგაზდობისა, ეს საკვირველი, თითქმის მექანიკური თანდათანობა მოძრაობაში, უნდა გენახათ ეს სიმარტე და სიკოხტავე ამ მამულის სიყვარულით გატაცებულ ახალგაზდობისა — და მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩეხიის მომავალი ამიერ უზრუნველყოფილია.

მერე ქალები? იმ დღეს როდესაც მათი ვარჯიშობა დანიშნული იყო, წამოვიდა საშინელი წვიმა სწორედ იმ დროს, როცა დაიწყეს ვარჯიშობა. წარმოიდგინეთ, იმ ნიაღვარის ქვეშ ერთი ქალიც არ შეძრებულა, ერთ ქალსაც არ მიუტოვებია თავის ადგილი რაზმში. ყველა გატაცებით უსმენდა სამხედრო ბრძანებას და ისე ასრულებდა თავის ვარჯიშობას, როგორც მართლა მეომარი. მაგრამ ანიშნა თუ არა უფროსმა — ვარჯიშობა გათავდა, თავისუფალი ხართო! რაზმი იმ წამსვე დაიშალა და სრულებით გაშუწული ქალები მიცვიდნენ იმ ადგილებს, სადაც ეგულებოდათ თავშესაფარი და მშრალი ტანისამოსი.

— დიალ! მეუბნებოდა მე კომიტეტის წევრი პანი ვოიტეკ კლეცანდა — ხომ ხედავთ, ნახეთ ძალა? ეს კიდევ ცოტაა. თუ საჭიროება მოითხოვს, საკმარისია გაზეთში გამოვაცხადოთ, რომ ერთი კვირის განმავლობაში წამოვაყენოთ ორმოცი ათასი ჯარის კაცი გაწრთვნილი, განათლებული და მამულის სიყვარულით გატაცებული. აბა, გაგვიძელონ რამე გერმანელებმა — ჩვენ შევიძლებთ ჩვენი თავის დაცვას. ყოველი ჩვენი „სოკოლური“ დღეობა პოლოტიკური დემონსტრაციაა, იმედი გვაქვს, რომ მალე თქვენც, ქართველებიც, მიიღებთ მონაწილეობას ჩვენს „სოკოლების“ ჩამოფრენაში... სოკოლი როგორაა ქართულად!

— შავარდენი.

— რა კარგი სიტყვაა, მიპასუხა კლეცანდამ. მაში იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თქვენი „შავარდენებიც“ მოფრინდებიან მალე — არა?!

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები, რომელიც მე გავიგონე პრაჟაში, და უკანასკნელი შთაბეჭდილებაც, რომელიც მე შემრჩა ამ სამაგალითო ერთს ცხოვრებიდან.

გ. გვაზავა.

გ ა ზ ე ფ ხ ს ლ ი.

ერთონის
ბიბლიოთისა

კვლავ სუნნელება საამური! კვლავ გაზაფხული.
ვარდუყვავილების გვირგვინებით ტურფად შემკული!
კვლავ აღფრთოვანდა მთლად ბუნება შვება-ლხენითა,
ყვავილნარ მდელოს დაჭმზერს მთვარე სხივთა ფენითა.

წალკოტის მეფე იადონი ხმას არაკრაკებს,
ვითა მეტოქე, ბულბულიცა ვარდთ შორის გაპყეფს;
ხევში მღინარე სიხარულის ცრემლებსა აფრქვევს,
ლხენის ხიჩინით მოაჩქარებს მთრთოლარე ტალღებს;

აქ ეხეთქება კიცაბ კლდეთა მოქრუშულ პირსა,
იქ პირს უკოცნის თავმომწონე, ტურფა ყვავილსა,
თითქო უნდოდეს მთელ სამყაროს გამოლვიძება,
რომ მიულოცოს გაზაფხულის იყვავილება

მაგრამა მე რა?.. ოხვრის მეტი ბედშავს აღარა
დამრჩენიარა. მარტოდ-მარტო ცრემლის ამარა
კარჩაკეტილი უნდა ვიყო ბედის მაწყევრად.

უნდა ვაფრქვით ცხარე ცრემლი გულის საქეჯნად.

ავი ცხოვრების ეკლიან გზას ვადგევარ მწარეს,
მხოლოდ იმიტომ, რომ მივადგე შავსა სამარეს.
ისიც არ ვიცი ეს ამბავი სად უნდა მოჰხდეს:
ჩემს სამშობლოში, თუ უცხოეთს სული აღმომხდეს?..

ერთხელა მქონდა სიცოცხლეში მე გაზაფხული,
მაშინ ყვაოდა ბავშვის გულში ტკბილ—სიხარული
და მწამდა კიდეც, რომ არსებობს კაც სიყვარული:
ადამიანი ცით მეგონა მოვლინებული

მაგრამ გაცრუვდა მხიარული ბავშვობის რწმენა.
ქვეყნადა ვპოვე გულცივობა ჯავრი და წყენა
დასკენა ყვავილი—ბავშვობისა ბრმა აღმაფრენა
და მხოლოდ დამრჩა მგლოვიარედ ცრემლისა დენა....

ი. მჭედლიშვილი.



ნუცალ ხანი

ისთორიული მოთხოვა.

(ვუძღვნი ძმებს კოტეს და მიტროს).

(გაგრძელება*)

III

—:

გათენდა, სისხლისფრად ამღვრეულ ორუბლეული ნელის სრიალით გადაეფარნენ თუშეთს. შეწყდა მთის სიოც. აღარ დანავარდობდა მთის კალთებზე და არ ეთამაშებოდა მწვანე ბალას და მის ათას ფეროვან ყვავილებს. თუშეთის აღაზანიც ჩაჩუმდა, მიინაბა თავის ვიწრო კალაპოტში. შესწყვიტა ლრია—

ლი, მხოლოდ ზვავებას ქვეშიდან გამოსხლეტილი მჩქეფარე წყლები არ იშლიდნენ ჩხრიალს და აღქაფებულნი ეცემოდნენ აქა-იქიდან აღაზანს. ხან-დახან გაისმოდა მშიერი ყორნის ყრანტალი. ფრინველთაგანი მხოლოდ ეს სისხლის მსმელი დანავარდობდა, თითქო ლეშის სუნი ეცაო... .

გამაგრდი, დიკლო! *) შენ იყავ ყოველთვის რკინის კარი თუშეთისა, შენ იყავ მისა ფარი. დალესტნის პირველი ტყვია შენს მკრდს ხვდებოდა. პირველად შენ თავზე ამოდიოდა ქარქაშიდან მისი ხმალი და პირველად შენ სისხლში ისვრებოდა..... შენ უმასპინძლდებოდი მტერს პირველი, შენ სდება დი თავს და მხოლოდ შენ ნანგრევებზე შეეძლო მტერს თუშეთში გადასვლა!....

*) იხ. „ე რ ი“ № 9.

*) დიკლო დალესტნის მომიჯნავე სოფელია თუშეთში.

ნუცალი დაეცა დიკლოს. თითქმის ყოველ კოშკს, ციხეს და სახლს ალყა შემოარტყა.

— დამიმორჩილდით! — შეუთვალა ნუცალმა დიკლოელებს.

— ჩვენ მხოლოდ სიკვდილს ვემორჩილებით! — მოკლედ უპასუხეს დიკლოელებმა და სასიკვდილოდ მიმზადებულნი მოუსხდნენ სათოფურებს.

გარჩევა არ იყო. აქ გასწორდა ქუდი და ნანდილი. გამარჯვების იმედ-დაკარგულ დიკლოელებს ის და დარჩენლით, რომ სახელოვანად დახოცილიყვნენ. ასტყდა თოფის გრიალი. თოფის წამლის ბოლით შეიმოსა დიკლო. ლეკებმა მისცეს სახლებს ცეცხლის სანგალი. ვინც ცეცხლს გაღურჩა, იმას ხმალმა მოულო ბოლო. მტერთა შორის შეწყალება არ იყო. სახლები ცეცხლმა შთანთქა და მის მცხოვრებთ იქვე ჰქოვეს სიკვდილი. ერთი ციხე იდგა უვნებლივ, ამაყად აშვერილიყო ზეცისაკენ და მტრის მუქარაზე წარბაც არ იხრიდა. იმ ციხეში შეეფარათ თავი გადარჩენილ თავგანწირულ დიკლოს მეომრებს. ლეკები სცდილობდნენ ცეცხლის სანგალი მიეტანათ კედელთან, მაგრამ ციხიდან სეტყვასავით გამოდიოდა ტყვია და უპობდა სიცოცხლეს მას, ვინც კი მიუახლოვდებოდა ციხეს.

— ზარბაზანი..., ზარბაზანი დაუშინეთ! — შეჰკვირა ნუცალ-ხანშა.

დაუშინეს ზარბაზანი. რამოდენიმე სროლის შემდეგ ერთი კედლის ნახევარი გრიალით ჩამოინგრა. დასცეს სიხარულის კიუინა გახარებულმა ლეკებმა და ხმალ ამოწვდილები მიესინენ თუშების მეომრებს. ბევრ ხანს ვერ გაუძლეს ერთმა მუჭა დიკლოელებმა დაღესტნელებს. სიმრავლემ სძლია მათი თავგანწირული მამაცობა. სოფლის ორლობები, სახლები და ციხე-კოშკები აიგო თუშ-ლეკების და ხოცილ გვამებით, რომელთა შორის ბევრი მანდილოსანიც და ბალლიც ერია...

დიკლო დაიღუპა, მის სისხლით მორწყულ და გვამებით მოკენჭილ ნანგრევებზე მტერი მხიარულებდა. ლეკების სიმღერა უერთდებოდა ცეცხლის გუგუნს და ტკაცა-ტკუცა....

მტრის შემოსევა და დიკლოს დალუპა მეხის გრგვინივით მოედო მთელს თუშეს. პირდაპირი, საგულ-და-გულო ბრძოლა შეუძლებელი იყო მტრის სიმრავლის გამო. ამისათვის თუშებმა მიკმართეს ციხე-სიმაგრებს. შეიხიზნენ და მოამზადეს ბლომად ტყვია-წამალი. ჯერი მიღვა შენაქოზე. ნუცალმა ჩა-აყენა დიკლოში ასი კაცი და დანარჩენ ჯარით თავს დაეცა შენაქოს. შენაქოელებიც შეიხიზნენ თავიანთ ციხეებში. აქაც მისცეს ცეცხლი სახლებს ლეკებმა და გადასწვეს. ციხებსაც მისცეს ნაღმი და მიანგრძოანგრიეს. მცველებმა გაშმაგებულ ბრძოლაში დალიეს სული. შენაქოს მაგივრად დარჩა მხოლოდ მისი ნანგრევები და მცხოვრებლების გვამები. ვინც გადარჩა — დიაც-ყმაშვილები ტყვედ ჩაუვარდა

ნუცალს. რამოდენიმე მძიმედ დაჭრილი თუშის მეომარი მოიხმო ნუცალ-ხანშა და უთხრეთ თუშები, უკავშირ ხედავთ ჩემ ძალას. უბრალოდ მეწინჭურტჟჲშეწერ თუშები დამმორჩილდებით, ერთი წვეთი სისხლიც არ დაიღვრება, თქვენი ავლა-დიდება თქვენვე შეგრჩებათ; ხელს არავინ ახლებს და, თუ წინააღმდეგობა გამიწიეთ, ის მოვიგათ, რაც დიკლოს და შენაქოს მოუვიდა. თქვენს მთას, კლდე-ლრეს მოვრწყავ თქვენივე სისხლით, ქვას ქვაზე არ დავანარჩუნებ და მთელ თუშეთში სისხლის გუთანს გავიყვან. წადით და შეატყობინეთ თქვენ თანამოძმებეს, რაც გითხარით!...

ნატყვევარ თუშებმა გააცრცელეს ეს ხმა, მაგრამ გაბრაზებული თუშები უფრო მუყაითად შეუდგნენ ციხე-სიმაგრეების გამაგრებას. გადასწყვიტეს სასიკვდილო ბრძოლა,

თავის მიუდგომლობით და სიმაგრით განთქმულ ქვათენთის ციხეში შეიხიზნა სამოცი სახელოვანი თუში თავიანთ ცოლშვილით. დროშაზე, მამა-პაპის საფლავზე შეფიცეს, რომ თუ ლეკები ციხეს აიღებდნენ, ყველანი გაწყდებოდნენ სასიკვდილო ბრძოლაში. ამ თავგადადებულ თუშებთან მოემწყვდია თუშეთში სასტუმროდ მოსული რამდენიმე ხევსურიც. ციხის თავად იყო სიმამაცით განთქმული განა ქოთილაიდე.

— მძებო, ხევსურებო, — უთხრა განამ ხევსურებსა — თქვენ რაღად იხოცავთ თავებს? წადით, თქვენ მაინც თავს უშველეთ.

— რას ამბობ განავ! — გაკვივრებით და ამასთან თითქო წყენით წამოიძახეს ერთ ხმივ ხევსურებმა, — ჩვენ-კი ვაჟუაცნი არა ვართ, ქუდი არა ვეხურავ?!.. წავიდეთ, მერე თემს რაღა უთხრათ? როგორ გამოვჩდეთ სოფელში სირცეებით. ხომ დაგვძრახავნ, დიაცებად გავგვდიონ? არა, ძმაო, — დასინეს ხევსურთ შვილებმა. — თქვენთან ჩვენც დაგვეომობა თავი; სადაც თქვენ, ჩვენც იქ ვიქნებით. სამარცვინო სიცოცხლის ტარებას სიკვდილი გვირჩევნია!...

შენაქოს განადგურების შემდეგ ნუცალი მიადგა ქვათენთის ციხეს. ასტყდა ორივე მხრიდან საშინელი თოფის გრიალი, იულიტებოდნენ ლეკები და მათი ნასროლი ტყვია-კი ცერცვივით ძირს ცვიოდა კედლებიდან. ნუცალი დარწმუნდა, რომ თოვებით ვერას გახდებოდა, რომ სხვა ღონის ძიება უნდა ეხმარა. სკადეს შეშის სანგალი, მაგრამ ვერ შესძლეს ციხის კედლებთან მიტანა. დრო მიდიოდა და ციხე-კი ისევ ისე მაგრად იდგა. ბოლოს გაიგო ნუცალმა, რომ მეციხოვნებს, წყალი შემოელიათ და ველარც იშვილებნენ და გასცა ბძანება, შეწყვიტათ ბრძოლა.

— მოვიცადოთ ერთი ორი ღლეც — სოჭა ხანშა — თვითონ გამოვლენ თუშები ჩვენთან.

გათენდა. მეციხოვნებს რაც წყალი ჰქონდათ, გამოელიათ გაჭირდა საქმე. მტერს კიდევ გაუძლებდნენ, მაგრამ წყურვილისთვის რა უნდა ექათ.

ეს ასეთი მტერი აღმოუჩნდათ, რომლის წინააღმდეგ უბრალო იყო მათი ფარხმალი და მამაცობა. რაც დრო გადიოდა, ხალხი უფრო და უფრო წუხდებოდა და შინ სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. მტერი-კი იდგა ციხეს გარშემორტყმული და არხეინად მოელოდა, თუ როდის გამოვიდოდნენ შეწუხებული თუშები.

— წყალი, წყალი მინდა!.. გაისმოდა აქა-იქიდან ბავშვების ტირილი, რომელიც დანასავით გულს ესობოდათ ლიმისოდაც შეწუხებულ დედებს და მათთან მეომრებს. მეტიხოვნეთ დაიწყეს თათბირი, თუ რა ექნათ და როგორ მოქცეულიყვნენ, ამ გაჭირების დროს დარჩენილიყვნენ ციხეში, თუ გასულიყვნენ და შებრძოლებოდნენ მტერს.

— გასვლა არ იქნება, სანამ ციხე ფეხზე დგას, ამბობდნენ ერთნი,—რაც მოგვივა, მოგვივა. გაუძლოთ კიდევ რამდენიმე ხანი და იქნება მოგვეშველნენ საიდგანმე თუშები, ან არა და შეიძლება თვითონ ლეკებმაც დაგვანებონ თვი.

— მაში წყურვილით ამოვსწყდეთ? — წამოიძახა უმრავლესობამ, — არა, ვაჟკაცისათვის სამარცვინოა ამ ნაირი სიკვდილი.... გავიდეთ. ვეკვეთნეთ მტერს და მათი სისხლი დავლიოთ წყლის მაგივრად!....

— დიახაც რომ ვეკვეთებით მტერს, — შენიშნა ერთმა, — შევსვამთ კიდეც მათ სისხლს, მაგრამ ამ დიაც—ყმაწვილებს რაღა ვუყოთ, თავს ხომ არ მივანებებთ?

— თქვენ ჩვენი დარღი ნუ გაქვთ, წამოიძახეს მანდილოსნებმა. — ჩვენც მოგყვებით და ჩვენს თავს ჩვენ დავიცავთ.., ერთად ან გამარჯვება, ან სიკვდილი!....

— მოიცათ ხალხო! — შეაჩერა განამ, — ციხიდან გასვლა ჯერ ადრეა, საიმისოდ ჩვენ ჯერ-ჯერობით არა გვიჭირს რა, მე ერთი აზრი მომივიდა და თუ როგორმე განვახორციელე, შეიძლება გვეშველოს რამე.

— რა აზრი მოგივიდა, განავ, გავეიზიარე, — მოუბრუნდნენ იმედ მიცემული ციხის ხალხი და ყველას თვალები განასაკენ მიეპყრნენ.

— ი საქმე რაშია — უთხრა განამ მცირე და-ფიქრების შემდეგ — ჩემი ქსობა ეხლა ამ გაჭირების დროს გამოგვადგება. დიაცის ტანისამოსი ჩავიცვამ, იარაღს ტყავის ქვეშ დავმალომ და ისე გავალ ციხიდან. ლეკები გულადაც ვერ გავლენ, რომ მე ვაჟკაცი ვარ, ამისათვის მაგდენ ყურადღებას და სიფრთხილეს არ გამოიჩენ. მივალ თუ არა, ვიშველებ ხმალს და დავკრავ. ვიცი ლეკების ამბავი, ზარ დაუემულნი გზას მომცემენ და სანამ გონს მოვლენ, მე ჩემ თავს კიდეც ვუშველი. შემდეგ გავალ სოფელში, შევყრი რამდენიმე ათ კაცს, მოვალთ და საფრებიდან დავუშენთ ლეკებს თოფს. ლეკებს ეგონებათ, თუშების ჯარი დაგვეცაო, და ჩვენკენ იბრუნებენ პირს, თქვენც ისარგებლეთ ამით

და გამოდით. ვინც გადარჩება — გადარჩება. თუ ვერ დავახწიე თავი ლეკებს — დასრულა განამ, — და მომკლეს, — რაც შეეიძლიან გამაგრდით ციტები და მაინც წყურვილისაგან სიკვდილს ათავსილად ბრძოლის ველზე სიკვდილი სჯობია.

ციხის ხალხს მოეწონა განას მოსაზრება, მაგრამ საეჭვო-კი იყო მისი განხორციელება; ვაკ, თუ ლეკები პირველადვე მიხვდებოდნენ და მოპკლავდნენ მათ მოთავეს.

— საორბედო საქმეა, განავ, — უთხრა ციხის ხალხმა, — მოგკლავენ და ბრალი ხარ მარტოკა. ბარებ სულ ერთად გავიდეთ და ერთად დავი-ხოცუნეთ.

— არა, სთქვა განამ, — მარტოკა მოკვდები, თუ თქვენთან ერთად, ჩემთვის და თქვენთვისაც სულ ერთია. ვერც პირველით და ვერც მეორით საქმეს ვერ ვუშველი. ამისათვის სჯობია ვუადო ხერხი. ცდა ბედის მონახევრები. იქნება გამოვიდეს რამე. მე გადავწყიოტე და კიდეც უნდა ავისრულო.

— აბა, დიაცბო, ლიმილით მიუბრუნდა შემდეგ განა მანდილოსნებსა — მომიტანეთ თქვენი ტანისამოსი და ჩამაცით, მხოლოდ ჯუბას-კი ვერ ჩავიცვამ, რადგანაც თავისუფლად მოძრაობას დამიშლის, სამკაულად გულის პირი და მუხლოსაფარი გამიკეთეთ, მანდილი დამხურეთ და ტყავიც ჩამაცით, რომ მის ქვეშ ხმალი დავმალო.

ქალებმა მოუტანეს განას ტანისამოსი და ჩავიცვეს.

— რა მშვენივრად მიხდება, კაი დიაცი ვიქნებოდი, არა, ბიქებო? — გადიხარხარა განამ რა დაჭედა და თავის თავს.

გაეცინათ სხვებსაც მაგრამ ამ სიცილში მწარენალველიც ბევრი ერია.

— აბა, მშვიდიბით, ჩვენი მთის — წმიდა ხატები იყოს თქვენი მფარველი და შემწე. იუ გადავურჩი მაგ ძალებს, ხვალ იმედი გქონდეთ და თუ არა იქნარა, დაიხოცინით ისე, როგორც შეპფერისთ ვაჟკაცებს.... ფიცი გახსოვდეთ — გამარჯვებით!...

— ლერთმა გამარჯვება ნუ მოვიშალოს, განავ, ალელვებით შესძახა ერთ ხმივ ციხის ხალხმა, — აბა ვინძლო თავი გადაარჩინო.

განა ჩავიდა ქვემო სართულში გარედ გასასვლელით.

სულ — განაბული ციხის ხალხი მოუთმენლად გაიყურებოდა გარეთ ციხის სათოფურებიდან და სარკმელებიდან, რომ თვალი ედევნა განასათვის. აპა, გამოჩნდა კიდეც, მიდიოდა პირდაპირ ლეკების ჯგუფისაკენ. მიდიოდა ნელ-ნელა, თავ ჩაღუნული, კრძალვით და მორცხვით, მანდილი პირზე ჩამოწეული ჰქონდა, ერთი სიტყვით ისე, როგორც შეპფეროდა ნამდვილ თუშის მანდილოსანს.

— თუშის გოგო მოდის.... თუშის გოგო!... წამოიძახეს ლეკებმა, დაინახეს განა თუ არა. ამ

სიტყვებს მოჰყვა უშვერი სიტყვები და სიცილ-ხარხარი.

— მოღი, ბექავ, თუშის გოგო, წიყალი დალია შენა... ხარხარით გაუმასპინძლდნენ ლეკები განას.

ბეკ ხანს არ აცინა ლეკები განამ. იელვა ქარქაშიდან ამოსულმა მისმა ხმალმა და თვალის დახამხამებამდისინ თავებ შუაზე გახეჩილი ორი ლეკი ცურავდა თავიანთ სისხლში. ზარ-დაცემული ლეკები გაითანტ-გამოიფანტნენ. ორი მათგანი გზა არეული გაიქცა იქითკენ, საითკენაც განა უნდა გავარდნილიყო, მირბოდნენ გონ-დაკარგული ლეკები და ფეხ-და-ფეხ მისდევდა მათ აშიშვლებულ ხლმით განაც.

— ბა... ბა... ბა!... ციხორი გარეკა მოგელმა! (უხვარი გარეკა მგელმა) ყვიროდნენ მათ მაყურებელი ლეკები.

ერთ ლეკს დაუსხლტა ფეხი, და იქვე პპოვა თავის სამარე. მეორე მობრუნდა და იძრო წელიდან დამბახა. დამბახის გავარდრა და განას ხმლის დაელვება ერთი იყო. ესეც გამოესალმა სამზეოს.

გონს მოსული ლეკები გამოედევნენ განას და დაუშინეს თოფები, მაგრამ განა ჩახტა ერთ ლრეში და იქიდან. „.....გაფრინდებ გოგლურთის ჩრდილზე, მგელი შემოლკრავს პწკალსაო!...“ *)

თავისუფლად და სიხარულით ამოსუნთქა ციხის ხალხმა, რა დაინახა, რომ სიკვდილს გადარჩა მისა მოთავე და ამასთან გულში ქომაგის იმედი დაესახა.

ნუცალ-ხანმა გასცა ბრძანება, რომ ზარბაზანი დაეშინათ ციხის კედლებისათვის. ასტეხს ზარბაზნის სროლა, მაგრამ ვერ შეანგრიეს ქვათენთის ციხის მაგარი კედელი.

— დიდებულო ხანო, თოფით და ზარბაზნით ციხეს ვერას დავკალებთ რა, — მოწიწებით უთხრა ავარიის ბრძანებელს აბდულამ, — ციხე ძრიელ მაგარია და მის სხვილ კედლებს ზარბაზნის ტყვია ვერ და-ანგრევს. სჯობია ქანქანა გავიყვანოთ კედლის სა-ძირკველთან და ნაღმი მიესცეთ.

აბდულას რჩევამ გასჭრა. ნუცალმა გასცა ბრძანება, რომ ჯარი ქანქანის გაყვანას შესღომოვდა ციხის საძირკველთან. დაღამდა. სიბნელით მოიცა არე-მარე. მიუუჩდა, მიიძინა ბუნებამ. რომ ღამით თუშები არ გამოსულიყვნენ ციხიდან, ხანმა ციხის ირგვლივ დააყენა დარაჯები. ჯარი მიეცა ტებილ ძილს.

არ ეძინა ციხეში მყოფ ხალხს. ყოველ წუთში ელოდა მტრის ციხეზე იერიშის მიტანას. მეთო-ფურები ისხდნენ სათოფურებში თოფებ გაწყობილნი, სმენად გარდაქცეულნი. მეორე დღე დაუღამდათ, რაც ამ ცეცხლში იმყოფებოდნენ. წყურვილი ხომ ახრჩობდა და ზედაც უძილობა ქვასავით

თავს აწვებოდათ. წყურვილისაგან დასუსტებული ბავშვები უწვენენ დედებს კალთაში ტურქეთ-დამსახური და გაფიორებულნი.

ირაურავა. ამ ღროს მოისმა საშინელი გრგვინვა ციხის ქვეშიდან. ციხე შეინძრა.

— ეხლა აღარ, გვეშველება რა!... წამოიძახეს მეციხოვნებმა, — ციხეს ნაღმი მისცეს მაგ ტრჯულებმა.

— ფიცი!... ფიცი!... — დაიძახეს აქა-იქიდან — გავიდეთ და გულ-და-გულ წინ დაუდგეთ მტერს, ვუჩვენოთ მაგ ლორებს, ვის უფრო უჭრის ხმალი.

— მოითმინეთ, — შეაჩერეს ვაჟკაცები მანდილოსნებმა, — ჩვენ რაღას გვეუპნებით, უიარალოთ გვტოვებთ? ხანჯლები მაინც ჩვენ გადმოგვეცით!..

ვაჟებმა მისცეს ხანჯლები ქალებს და ერთად ჩავიდნენ ქვემო სართულში გასასვლელად. იხრიალა პირველზე უფრო საშინლად. ციხე შეირყა, გაექანგაიოებანა და ერთი მისი კედელი ქუხილით ჩამიქცა.

— ეხლაც არ გამოვა თუშის გოგო? ეხლაც არ დალია წიყალი (წყალი) — დასცეს სიხარულის კუჭინა ლეკებმა.

თითქმის მესამედი ციხის ხალხი მოექცა ნანგრევების ქვეშ. დანარჩენები გამოვიდნენ გარეთ. ვაჟკაცებმა ჩააყენეს მანდილოსნები და ბავშვები შუაში და თვითონ-კი ხმალ-ხანჯალ ამოწვდილებმა გარს რგოლი შემოარტყეს. სიმრავლით გათამამებული ლეკები მისცივიდნენ თუშებს.

— შესდექით!... შეაყენა თავის მეომრები მურთაზმა.

— დაგემორჩილდით, დაყარეთ იარალი! მიუბრუნდა შემდეგ თუშებს ლეკების მხედართ მთავარი — ვერას გაწყობთ, უბრალოდ თავებს ნუ იხოცავთ, ჩვენმა დიდებულმა ნუცალ-ხანმა შეგიბრალათ და სიცოცხლე გაჩუქათ.

— ღორო!... შეპყვირეს ერთ ხმივ ბრაზ მოსულმა თუშებმა. — საღ გაგონილა, რომ თუშმა იარალი დაჰყაროს, დაუმორჩილდეს მტერს, სანამ სული პირში უდგა და მკლავი თავისუფალი აქეს?!.. ჩვენ არ გვინდა თქვენი ხანის არც შებრალება და არც ნაჩუქი სიცოცხლე. ჩვენ მხოლოდ სიკვდილი და გვაყრევინებს იარალს. წადი და ეს მოახსენე თქვენ ნუცალს... .

— დაჰყარით!... გაულოტეთ!... — დაიღრიალა გაშმაგებულმა ნუცალის მხედართმთავარმა, — არ დაინდოთ არც ღიღი, არც პატარა.

აუარი ლეკის ჯარი გარს შემოერტყა ერთი მუჭა სასიკვდილოდ შეფიცულ თუშებს. ასტყდა საშინელი ხმლისა და ხანჯლის ტრიალი. სისხლში მოსვრილი მახვილი ელავდა ახლად ამოსულ მზის სხივებზე. როგორც აღშფოთებული ზღვის ტალღა ეცემა სალს კლდეს და უკანვე ვარდება, ისე ვერას აკლებდა თუშების რგოლს გაშმაგებული ლეკების

*) თუშური ლეკსი.

იერიში, ძვირად უჯდებოდათ ლეკებს ყოველი თამა-მად წინ წადგმული ნაბიჯი, მანდილოსნებიც ღირ-სეულად მხარს უჭერდნენ ვაჟკაცებს. მანდილ გადა-ვარდნილი, თმა აბურძენული, ანთებულ სახით საშინელ სანახაობას წარმოადგენდნენ ეს მანდი-ლოსნები. ამ დროს რომ შეგხედნათ მათვის, სრულებით ვერ იფიქრებდით, რომ ისინი ეკუთვ-ნოდნენ მშვენიერ არსებებს, რომ ისინი არიან ბუნებით ნაზი ქმნილებანი, რომელთა დანიშნულება არის შვილების შობვა, მათი აღზრდა და არა ბრძო-ლის ველზე გაშმაგებული ხმლის და ხანჯლის ტრია-ლი და სისხლის ღვრა.... მაგრამ ლომებრივი სიმა-მაცე თუშებისა იმსვრეოდა ლეკების სიმრავლეზე. მათი ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო და სიცოცხ-ლის ძაფი ის იყო წყდებოდა. თუშებმა კარგა იცოდნენ ეს და ამისათვის ყოველი მათგანი ცდი-ლობდა, რომ რაც შეიძლება ძვირათ დაესვა თავის სიკვდილი მტრისათვის.

ყველამ შეასრულა თავისი ფიცი. ყველამ ვაჟ-კაცურად დალია სული, მორწყო სამშობლო მიწა თავის სისხლით და მადლიერმა მიწამაც მიიხუტა შვილი თავის გულში და მისცა საუკუნო განსვენე-ბა... სამოცი სიცოცხლით აღსავსე ვაჟკაცისაგან და იმოდენავე დიაცუმაწვილებისაგან გადარჩა მხოლოდ რამდენიმე მძიმედ დაჭრილი მანდილოსანი და ბავშვი.

ხესურებმაც აასრულეს თავიანთი სიტყვა: „თქვენთან ჩვენც დაგვეთმობა თავი, სადაც თქვენ ჩვენც იქ ვიქნებით“^{ო.} ყოველმა მათგანმა ვაჟკა-ცურად დალია სული თუშებთან ერთად.

გათავდა საშინელი ხოცვა-ულეტა. ნუცალ-ხანი მივიდა ბრძოლის ალაგის, შეხედა და შედგა. კარგა ხანს იდგა დაღუმებული და მიეპყრო თვალები იქ, სადაც დახოცილი გროვა გროვაზე იდგა, სადაც ვაჟკაცის, მანდილოსნის და ბავშვის გვამები არეუ-ლიყვნენ ერთმანეთში. მისი წარბები ხენ შეიქმუნებოდნენ და ხან ისევ გაიხსნებოდნენ. ამ დროს მის თვალებში გამოიხატებოდა განციფრება, კა-ყოფილება და ამასთან სიბრალულიც,

— უძლეველია ის ქვეყანა, რომელიც შობავს და ზრდის ამისთანა შვილებს!... ნალვლიანად წარმოს-თქვა ნუცალმა და გაბრუნდა თავის ბინისაკენ.

— ამ ტყვებს რა უყოთ, დიდებულო ხანო? ჰკითხა მურთაზმა.

— რომელ ტყვებს?

— აი, ამ დედაკაცებს და ბალლებს.

რამდენიმე მძიმედ დაჭრილი მანდილოსნების და დატანჯულ ბალლების დანახვაზე მოლად შეირ-ყა ნუცალი. ურუანტელმა აიტაცა მთელი მისი არ-სება და მისი ლმობიერი გული სიბრალულით აღივსო?

— გაუშვით, საითაც უნდა წავიდნენ, მხოლოდ, — მკაცრათ დაუმატა ხანმა, — იცოდეთ, თუ. მათ

ვინმე თავხედმა ხელი ახლო და შეურაცყალფა მია-ყნა, თავს გავაგდებინებ!...

სახელოვანი, თავის სიმაგრით სახელგანთქმუ-ლი ქვათენოს ციხე მიწასთან გასწორდა. ბრაზ-შლ-რეულმა მტერმა მისცა კიდე რამდენიმე ნაღმი და ქვა ქვაზე აღარ დაანარჩუნა. საუკუნოდ მოისპო მისი არსებობა, როგორც მოისპო მისი თავგადადე-ბულ მცველებისა. მაგრამ არ მოსპობილა ჯერეთ მათი სახელი, მათი ამაგი, სამსახური სამშობლოს წინაშე დარჩენილია საშვილიშვილოდ თქმულებებ-ში და სიმღერებში. არ გაივლის იმ ალაგზე თუში, რომ არ შეპხედოს იმ ციხის ნანგრევებს, მის ცეც-ლის ალისაგინ და თოფის წამლისაგან გაშვებულ მიყრილ-მოყრილ ქვებს და არ გაიხსნოს ის წამე-ბული წარსული სისხლის დრო, ის სამშობლოს გმირნი, რომელთაც თავისი პირადი ბედნიერება, სიცოცხლე შესწირეს საყვარელ სამშობლოს... გუ-ლი აუქეროლდება, გაიხედ-გამოიხედავს, გადაავლებს თვალს საყვარელ სამშობლო მთებს — იმ დრო-ის უტყვ მოწამეთ, რომელთა თოვლით და ყი-ნულით დაგვირგვინებული მწერვალოები ისევ ისე ქედ მოუდრეკლად, ამაყათ ცას მიბჯენიან და ნაღ-ლიანათ ამოიკვენებს:

„ ქვათენოს ციხე მაღალო, ქავით ქვედ ჩამოლებულო, შიგ შესრულთ დიაც ყმაწვილთა გზა უკულმ გამომღებელო, ხმლითა გამოსვლის ამბობენ ქოთილია განაისაო გაფრინდეს გოგლურთის ჩრდილზე მგელი შემოღკრავს პწალსაო შენდობა ქვათენთას ნახოცთ, სად დასხდენ სწორნი სმაზეო!...“ *)

ივ. ბუქურაული.

(გაგრძელება შემდგე)

რედაქტიამ მიიღო იოსებ მერკვილაძის გამოცე-მანი: აკაკის პოემა „ალექსი“, ნ. ბარათაშვილის „თხზულებანი“ ხრამელაშვილის „არითმეტიკა“. მ. გაჩეჩილაძის გამოცემა „განდეგილის თხზულებანი“. ყველა აღნიშნული წიგნები სუფთად და ლამაზადაა გამოცემული.

რედაქტორ-გამომცემელი: პეტრე სურგულაძე.

*) თუშური ლექსი.